ალია

რეკლამა „ალიაში“:
5 77 444 442

N175/3105/ 27 ნოემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## ლადო სადღობელაშვილი: „შეთანხმების თანახმად, უნდა ჩავარდეს ყველა ის მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რასაც „ქართული ოცნება“ შეიტანს პარლამენტში“

„ორგანიზატორი გახლდათ ხათუნა გოგორიშვილი მისი მეშვეობით მოხდა შეხვედრა ამერიკაში მყოფ მიხეილ სააკაშვილთან“



## რა ხდება ჰააგის სასამართლოში სააკაშვილის საქმეზე?

## რატომ ვერ აუსრულა რკინიგზის შეფმა კოკა გუნცაძემ ოცნება რკინიგზელებს



## „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგობის მიუხედავად, როგორ აპირებს უმრავლესობა ბესელიას კანონპროექტის გატანას

## რა დაპირისპირებები მოხდა ადამიანის უფლებათა კომიტეტში არასამთავრობოებთან?



## „ახალგაზრდა ადვოკატები“ ეკონომიკურ ამნისტიას ითხოვენ



რა ამნისტია, ვინც გადასახადს იხდიდა, იმათ რაღა დააშავეს?

## ე.წ. კაბელების საქმის მასალები ადვოკატებს გადაეცათ



ე.წ. კაბელების საქმის ის ნაწილი, რომელსაც გრიფი „საიდუმლო" მოეხსნა, პროკურატურიდან ადვოკატებმა გვიან ღამით გამოიტანეს. საერთო ჯამში, მასალა 1 200-გვერდიანია. მის სრულად გასაცნობად, ადვოკატებს ორ კვირაზე მეტი აქვთ.

ადვოკატ სოსო ბარათაშვილის თქმით, ამ დროისთვის ადვოკატები იმ მასალებს ეცნობიან, რომელთაც პროკურატურამ გრიფი „საიდუმლო" მოხსნა, თუმცა სამოქმედო გეგმაზე დაცვა მასალების გაცნობის შემდეგ ჩამოყალიბდება.

„დაცვის სრულფასოვნად განხორციელებაზე საუბარი ზედმეტია, რადგან პროკურატურა ისევ არღვევს 83-ე მუხლის მოთხოვნებს და საქმის მასალების სრულად გაცვლა არ ხორციელდება. ამ დროისთვის, გადმოცემულ მასალებს ვსწავლობთ, რასაც დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდება და სამოქმედო გეგმაზე ამის შემდეგ ჩამოვყალიბდებით", – განაცხადა ადვოკატმა. (ნიუპოსტი, ფრონტნიუსი)

## „ნაციონალები" ჯაჭვლიანს პარასკევს, 11 საათზე ელოდებიან




თბილისის საკრებულოს „ნაციონალი" დეპუტატების განცხადებით, თბილისის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული საცობების აღმოფხვრისთვის აუცილებელი ღონისძიებები და დედაქალაქის შესაბამისი სამსახურები ამ პრობლემის მოსაგვარებლად არ მუშაობენ.

ამ საკითხებზე სასაუბროდ დეპუტატები თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროს პაატა ჯაჭვლიანს ფრაქციის სხდომაზე იწვევენ, სადაც მას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ პროექტს გააცნობენ. პროექტის მიხედვით, საცობების პრობლემის მოსაგვარებლად ბიუჯეტიდან მინიმუმ, 20 მილიონი ლარი უნდა გამოიყოს.

პაატა ჯაჭვლიანს „ნაციონალური მოძრაობის" წევრები საკრებულოში პარასკევს, 11 საათზე ელოდებიან. (ფრონტნიუსი)

## უამინდობა თვის ბოლომდე გაგრძელდება



სინოპტიკოსების პროგნოზით, უამინდობა საქართველოში თვის ბოლომდე შენარჩუნდება. მათი ვარაუდით, 27-28 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში წვიმაა მოსალოდნელი, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში კი – თოვლიც. (ფრონტნიუსი)

## 2015 წელს რუსეთის ბიუჯეტი 1 ტრილიონი რუბლით დაზარალდება



რუსეთის ფინანსთა მინისტრ ანტონ სილუანოვის განცხადებით, ნავთობის დაბალი ფასისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების გამო რუსეთის ბიუჯეტი მომავალ წელს შესაძლოა, 1 ტრილიონი რუბლით დაზარალდეს. (ფრონტნიუსი)

## დეკემბერში, ახალი პირადობის მოწმობა 15 ლარი ეღირება



პირველი დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ახალი პირადობის მოწმობების აღება 34 ლარის ნაცვლად 15 ლარად იქნება შესაძლებელი. ახალი პირადობის მოწმობის აღების მსურველმა მოქალაქეებმა იუსტიციის სახლებს, საზოგადოებრივ ცენტრებს ან სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს უნდა მიმართონ. (პირველი რადიო)

## რიკოთის გვირაბში მსუბუქი ავტომობილი დაიწვა




რიკოთის გვირაბში, შეჯახების შედეგად, მსუბუქი ავტომობილი დაიწვა.

„ოპელი", რომელშიც დამონტაჟებული იყო ბუნებრივი აირის ბალონი, სატვირთოს შეეჯახა. შეჯახების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ცეცხლის გაჩენის შემდეგ, მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა გვირაბიდან გამოსვლა შეძლო. გვირაბში დაგროვილი კვამლის გამო, საცობი შეიქმნა, რის შემდეგაც პოლიციამ მგზავრების ევაკუაცია მოახდინა.

შსს-ს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)



## ქუთაისში საცხოვრებელ სახლში გაზი აფეთქდა



ქუთაისში, ავანგარდის დასახლებაში საცხოვრებელ ბინაში გაზი აფეთქდა. არსებული ინფორმაციით, შემთხვევის დროს სახლში მამაკაცი იმყოფებოდა, რომელიც სხეულის დამწვრობით საავადმყოფოში გადაიყვანეს. აფეთქება სახლში დაგროვებული ბუნებრივი აირის აალებამ გამოიწვია. (ნიუპოსტი)

## „2014 წლის ბოლოსთვის ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სატესტო მატარებლის გაშვება იგეგმება"



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელიც ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს, დამაკავშირებელი რგოლია დასავლეთ ევროპას, ცენტრალურ აზიას, ჩინეთსა და ინდოეთს შორის.

„აღნიშნული ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენს ქვეყანას რეგიონში ბუნებრივ სატრანსპორტო და ბიზნეს ჰაბად აქცევს. ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ მთელ რიგ მნიშვნელოვან რეგიონალურ და საერთაშორისო პროექტებში და ამავე დროს ვმუშაობთ ქვეყნის შიდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაზე", – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ამ მიმართულებით პრემიერმა ხაზი გაუსვა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მნიშვნელობას ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების საქმეში.

„ეს რკინიგზა პირდაპირ დააკავშირებს საქართველოსა და თურქეთს, ხოლო მარმარას გვირაბის მეშვეობით შეიქმნება პირდაპირი კავშირი ევროპიდან და აღმოსავლეთიდან თურქეთის გავლით საქართველოსა და სხვა რეგიონალურ ქვეყნებთან", – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, 2014 წლის ბოლოსთვის იგეგმება სატესტო მატარებლის გაშვება, ხოლო პროექტი დასრულდება 2015 წლისთვის. შესაბამისად, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გამოყენებით ტვირთების გადაადგილების პერიოდი 2-ჯერ შემცირდება.

„საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის შემდგომი განვითარების მიზნით, ვგეგმავთ ორ წელიწადში ახალი ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტის მშენებლობას. პორტი იქნება მულტიფუნქციური და შესაძლებლობა ექნება მიიღოს მსხვილი ტიპის სატვირთო გემები. პროექტში მონაწილეობის სურვილი 12-მა კონსორციუმმა უკვე გამოხატა. პორტის გამტარუნარიანობა იქნება წელიწადში 100 მილიონი ტონა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთბრუნვას საქართველოს გავლით, ასევე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ბაზრებს შორის სატვირთო გადაზიდვები უფრო სწრაფად და ნაკლები ხარჯებით იქნება შესაძლებელი", – აღნიშნა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ყველაზე მეტი დანაშაული ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში დარეგისტრირდა



მიმდინარე წელს, თბილისის მასშტაბით, ყველაზე მეტი დანაშაული ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში დარეგისტრირდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2014 წლის 8 თვის განმავლობაში, თბილისში სულ 7981 დანაშაულია დარეგისტრირებული, აქედან 2099 ვაკე-საბურთალოს სამმართველოში.

თბილისში მომხდარი 7981 დანაშაულიდან გახსნილია 4570.

რაც შეეხება უბნების მიხედვით სტატისტიკას, ვაკეში 2099 დანაშაულიდან 892 გაიხსნა, ისანი-სამგორის სამმართველოში დარეგისტრირებული 1861-დან გახსნილია 1209, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოში რეგისტრაციაშია 1741 დანაშაული, საიდანაც 1050 გახსნილია, დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველომ კი 889-დან 439 გახსნა.

ძველი თბილისის სამმართველოში 1229 დანაშაული დარეგისტრირდა, საიდანაც სამართალდამცველებმა 858 გახსნეს.

ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს რეგისტრაციაში კი 162 დანაშაულია, საიდანაც 122 გაიხსნა. (ინტერპრესნიუსი)

## პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორმა ე.წ გასაღების ფლობაზე შესაძლოა უარი თქვას

„გასაღებთან" დაკავშირებით საპარლამენტო სესიის მიმდინარეობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, თამარ ქალდანი აქტიურად აკვირდება. მისი თქმით მას არ სურს ფლობდეს მეორე გასაღებს და აქედან გამომდინარე, ის არ გამორიცხავს, რომ პროცესს საერთოდ გამოეთიშოს.

„ჩვენ არ უნდა ვიყოთ აღქმული პროცესში მონაწილედ და სამართალდამცავი ორგანოების ნაწილად, ან მათი საქმეების გამგრძელებლად, ერთადერთი ლეგიტიმური როლი ინსპექტორისა არის კონტროლის განხორციელება და თუკი გასაღების ფლობა ამ კონტროლის ეფექტურობას უქმნის საფრთხეს, მაშინ არ უნდა იქნას საერთოდ გასაღებითან დაკავშირებით ინპექტორის თემაზე მსჯელობა გაგრძელებული". – განაცხადა ქალდანმა. (ნიუპოსტი)

## გერმანიის მთავრობა მოსკოვსა და სოხუმს შორის ხელმოწერილ შეთანხმებას აკრიტიკებს

გერმანიის მთავრობა რუსეთსა და საქართველოს შავიზღვისპირა სეპარატისტულ რეგიონს, აფხაზეთს შორის ხელმოწერილ ე.წ. შეთანხმებას აკრიტიკებს.

„შეთანხმებით მოსკოვი ართულებს ჟენევის ფორმატის ფარგლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების დარეგულირების მცდელობას. საქართველოს შეშფოთება იმის გამო, რომ რუსეთი ამ რეგიონის „მცოცავ ანექსიას" ახორციელებს, კიდევ უფრო გაძლიერდა. გერმანია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. ჩვენ საქართველოს მომავალშიც დავუჭერთ მხარს სეპარატისტული რეგიონების მშვიდობიანი გზით რეინტეგრაციის და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დანერგვის პროცესში", – განაცხადა ფედერალური მთავრობის სპიკერმა, შტეფენ ზაიბერტმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ალია

# „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგობის მიუხედავად, როგორ აპირებს უმრავლესობა ბესელიას კანონპროექტის გატანას



26 ნოემბერი საკმაოდ დაძაბული დღე იყო პარლამენტში, სადაც ორ სადავო საკითხზე ლამის ცემა-ტყეპა გაიმართა: პირველი – ვერა და ვერ გაირკვა, „ნაციონალების“ მიერ მომზადებული რეზოლუცია უნდა მიიღოს პარლამენტმა რუსეთთან დაკავშირებით, თუ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული? შეგახსენებთ, „ნაციონალების“ რეზოლუციით, საქართველო უნდა შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, გაუქმდეს აბაშიძე-კარასინის ფორმატი და ჩვენმა დიპლომატიურმა კორპუსმა მოახდინოს დამატებითი საქმეების აღძვრა საერთაშორისო სასამართლოებში. როგორც ამბობენ, მმართველ გუნდშიც შემუშავდა რეზოლუციის ალტერნატიული პროექტი, რომელიც „ნაციონალების“ „ნაშრომისგან“ თითქმის არ განსხვავდება, მაგრამ უმრავლესობა თავის „შედევრს“ ჯერ არ აჩენს.

დღის პირველ ნახევარში დავა უმცირესობის „პაპუასური“ პროტესტით დამთავრდა – ეს საკითხი 26 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში ვერ მოხვდა. როგორც ვიცე-სპიკერმა, მანანა კობახიძემ განაცხადა, ამ რეზოლუციის წინააღმდეგი არავინ არის, თუმცა ის შემოტანილი არ არის და ამიტომ ვერ დარეგისტრირდაო. კობახიძეს გიორგი ბარამიძემ უპასუხა, რომ მას საერთოდ არ აინტერესებს განმარტებები. თუ არ გაინტერესებთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ, ბატონო გია, – მიმართა მანანა კობახიძემ. ამაზე ბარამიძის „პადელნიკმა“, ხათუნა გოგორიშვილმა ლამის თმა გაიწეწა და ვიცე-სპიკერს მიუთითა: თქვენ არ გაქვთ უფლება, ვინმეს მიუთითოთ, სად მიბრძანდესო. აქვე „აფრები“ აუშვა „ნაციონალმა“ კაკო ბობოხიძემ: „თქვენ ძალადობთ ძალიან წყნარი და მშვიდი ხმით იმიტომ, რომ უფლება გაქვთ, მართოთ პროცესი და მართავთ უკანონოდ“. ვინაიდან კაკოს გაჩუმება ყოველთვის პრობლემაა, მანანა კობახიძეს მანდატურების მოშველიება დასჭირდა, იქნებ ეს კაცი გააჩუმოთო?!

მეორე – უკვე დაძაბულ სადავო საკითხად იქცა კანონპროექტი მოსმენებთან დაკავშირებით. აქ უკვე საქმე გვაქვს შიდა კოალიციურ განხეთქილებასთან – „რესპუბლიკელები“ კატეგორიულად არ ეთანხმებიან ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძისა და ირაკლი სესიაშვილის მიერ მომზადებულ პროექტს, რომლის თანახმადაც ე.წ. გასაღები უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში და უნდა აკონტროლოს ინფორმაციის დაცვის ინსპექტორმა. მათი აზრით, გასაღები უნდა გადაეცეს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას. „რესპუბლიკელებს“ ამ მხრივ თანაუგრძნობენ უმრავლესობის წევრები, ელისო ჩაფიძე, ანი მიროტაძე და თამარ კორძაია. აქვე არიან „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაციონალები“. პლენარული სხდომა მიმდინარეობდა ასეთი რეპლიკების ფონზე:

**ხათუნა გოგორიშვილი:** „ქალბატონო ეკა, თქვენ ბრძანდებით ჯაშუშების ლობისტი“.

**გიორგი ბარამიძე:** „შუბლის ძარღვი ვის აქვს გაწყვეტილი, ამას საზოგადოება გაარკვევს“.

**ირმა ნადირაშვილი:** „ჩემი წარსული არ არის სამარცხვინო, მე თქვენგან განსხვავებით ვმუშაობდი არა ზვიგენების მბრძანებელთან, არამედ საქართველოს პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან“.

**ეკა ბესელია:** „ახლა ამისთვის არ მცალია, ამ ყველაფერს შემდეგ სხდომებზე გაგახსენებთ და ბევრ რამეს გეტყვით. თქვენ ვის ეძახით ჯაშუშებს? გაიხსენეთ ოპერაცია „ენვერი“, მფრინავები რომ შერაცხეთ ჯაშუშებად. ისინი თქვენს საყვარელ გაქცეულ პრეზიდენტს დაჰყვებოდნენ უსაფრთხოებისთვის... ხმას დაუწიე, კანდელაკო, თავხედო შენ! სირცხვილი ის არის, რაც თქვენ აკეთეთ, ომიდან თქვენი მხედართმთავარი გარბოდა! ერთხელ მაინც თავი შეიწუხეთ და წაიკითხეთ „ენვერის“ საქმე. ასე მოკალით პაატა ქარდავა, ჯაშუში ეძახეთ იმიტომ, რომ არ გაიქცა... არ გინდათ ეს ყალბი აღელვებები, რაა! ხმას დაუწიე და ნორმალურად ილაპარაკე, მოღალატეებთან ვინც დადიოდა, ვიცით. ააა... სიმართლის თქმა გემწვავათ? სამარცხვინოები კი არა, მოძალადეები იყავით. ჩვენ ყველა ჯაშუშებად ვიყავით გამოცხადებული, თქვენ არც პატრიოტიზმი იცით, არც სამშობლო, საკუთარ ქვეყანაზე ძალადობთ. კარგი, ახლა, ისტერიკაში ნუ გადავარდები, ბატონო კანდელაკო. ჩემთვის ხარ ძალიან კომიკური ფიგურა, რაც გინდა, ის ილაპარაკე. ხმა არ გაქვთ არც ერთს ამოსაღები და დაწყნარდით მანდ, რააა!“

**მანანა კობახიძე:** „დამშვიდდით, ბატონო კანდელაკო!“

გივი თარგამაძე, ხათუნა გოგორიშვილი, გიორგი კანდელაკი და გიორგი ბარამიძე ისტერიკაში არიან, ყვირიან, აზრახუნებენ და შეურაცხყოფაზე გადადიან.

„ალიას“ **უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე** ესაუბრება:

**— დათო, როგორც მოსალოდნელი იყო, კანონპროექტს ხმას არ აძლევენ „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“, „ნაციონალები“ და კიდევ რამდენიმე დეპუტატი. მომეჩვენა, რომ „ნაციონალებმა“ გადაგიარეს: გიწოდეს ჯაშუშების ლობისტები, 2008 წლის ომის პერიოდში უმრავლესობის წევრები თესავდით ნიჰილიზმს და ეწეოდით მოღალატურ საქმიანობას, ავრცელებდით ჭორებს, თითქოს სააკაშვილის ხელისუფლება გაქცეული იყო ქვეყნიდან.**

– ბოლო დღეებში ძალიან აჟიტირებულები არიან, ძალიან თავხედურად იქცევიან პარლამენტში. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც შუბლის ძარღვი საერთოდ დაკარგეს, სამარცხვინოდ იქცევიან. მე ვაღიარებ, ეს არის ჩვენი დანაშაული, რომ კრიმინალები ამ დღეში არიან დღეს.

**— ერთი რამე ამიხსენი, რა რეზოლუცია მოამზადეთ უმრავლესობაში, რომ არ აჩენთ?**

– მე პროექტი არ მინახავს.

**— ვინ დაწერა, ხომ უნდა გაგაცნოთ უმრავლესობის წევრებს?**

– გვეუბნებიან, რომ ჯერ არ არის მზად. ჩვენ უნდა მივიღოთ მხოლოდ და მხოლოდ რაციონალური და გონივრული რეზოლუცია, რომელიც წაადგება ჩვენი ქვეყნის პერსპექტივას. დარწმუნებული ვარ, უმრავლესობაში უმეტესობა „ნაციონალებს“ არ დაეთანხმება.

**— ლევან ბერძენიშვილი ამბობს, რომ თქვენი კანონპროექტი მოსმენების შესახებ არის გადახრა უშიშროებისკენ. ასევე, ძალიან იკბინება თინა ხიდაშელი, ეკა ბესელიას ცინიკურად მიმართავს, ჩვენ კითხვა არ ვიცით, იქნებ ესა და ეს მუხლი აგვიხსნათო? უმრავლესობაში აშკარა დაპირისპირებაა. მართალია, სხდომა 27 ნოემბრისთვის გადაიდო, კენჭისყრა ვერ მოესწრო, მაგრამ რა შედეგითაც დამთავრდება, უკვე ვიცით. ამის შემდეგ რას აპირებთ, ხომ არ დადგება კოალიციიდან „რესპუბლიკელების გარიცხვის საკითხი?**

– მე გეტყვი, რაც მოხდება: უმრავლესობა „რესპუბლიკელების“ გარეშე მხარს დაუჭერს ეკა ბესელიას კანონპროექტს. თუ ესენი არ გვიჭერენ მხარს, ნუ გვიჭერენ, თავისუფლები არიან. საკითხი არ ჩავარდება, ამას სჭირდება დამსწრეთა ნახევარი, მინიმუმ 50 ხმა. ესე იგი, სხდომას უნდა ესწრებოდეს 76 დეპუტატი და აქედან შეიძლება მივიღოთ 50 ხმით. ეს ძალიან მარტივია. თუმცა, ვაღიარებ, პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან არასასიამოვნო ფაქტთან გვაქვს საქმე. თუ ისე მოხდება, როგორც ვვარაუდობთ, ამის შემდეგ უმრავლესობის ფორმატში იქნება მსჯელობა, ბოლოს და ბოლოს ყველამ თავისი პოზიცია დააფიქსიროს, ანუ ვის რა გეგმები აქვს და ვის რა უნდა.

იცი, რას გეტყვი? ერთი საინტერესო რაღაცა მოხდა ამ ამბების დაწყებამდე პარლამენტში, რაც თითქმის ყველამ გაატარა. მე ვგულისხმობ ფაქტს, როცა დავით უსუფაშვილმა კახა ბენდუქიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მთელი პარლამენტი ფეხზე წამოყარა. მე არ ავდექი, მაგრამ სხვები ხომ ადგნენ? მანამდე არაფერი ლაპარაკი არ ყოფილა, უცებ ადგა, გამოაცხადა და „ნაციონალებმა“ ტაშიც კი დაუკრეს. ესეც ძალიან ცუდი პრეცედენტი იყო, მაგრამ „რესპუბლიკელებმა“ ასე ჩათვალეს საჭიროდ, ჩვენთვის წინასწარ არაფერი უთქვამთ. მერე უსუფაშვილი პანაშვიდზეც მივიდა... ძალიან გამიკვირდა, იქ რატომ მივიდა შალვა შავგულიძე? მივიდა და „რეჩიც“ დაარტყა, მაგარი კაცი იყოო. მე არ ვარ მომხრე, რაღაც პოლიტიკური მოსაზრებების გამო ვინმეს პანაშვიდზე ადამიანი არ მივიდეს, მაგრამ როცა ამას ვიღაცის გასალიზიანებლად აკეთებ, ეს მიუღებელია. ბოლოს და ბოლოს, თუ მივიდნენ, რაღას დაიწყეს ლაპარაკი, მას ისტორია დააფასებსო? ვინ დააფასებს ადამიანს, რომელიც რუსეთიდან ჩამოსული იყო ქვეყნის გასაუბედურებლად? ხომ გააკეთა თავისი, ხომ მოუტ...ნა დედა?! უკვე ნათლად ჩანს, რომ „რესპუბლიკელები“ უკან არ იხევენ. დაველოდოთ კიდევ ერთი დღე, ბოლომდე გავერკვეთ, რას იზამენ. მე სიტყვა „გარჩევას“ არ ვიხმარ, მაგრამ გუნდის შიგნით აუცილებლად იქნება სერიოზული მსჯელობა.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მადლობა „რუსთავი 2“-ს, რომ სააკაშვილის ადგილსამყოფელი აღმოაჩინა“



უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია „რუსთავი 2“-ს მადლობას უხდის.

მისი თქმით, სააკაშვილი ძებნილია და „ის პარიკით ან სხვა სახელითა და გვარით უნდა იმალებოდეს სადმე პროვინციაში“.

„მადლობა მინდა გადავუხადო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, რომელმაც მოახერხა და ნომერ პირველი ძებნილის მიხეილ სააკაშვილის ადგილსამყოფელი აღმოაჩინა და შემოგვთავაზა ნახევარსაათიანი პირდაპირი ჩართვა. უნდა ითქვას, რომ მან ამით გარკვეული სამსახური გაუწია სამართალდამცველ ორგანოებს. ადრეც ხშირადაა შემჩნეული „რუსთავი 2“, რომ მიხეილ სააკაშვილს უთვალთვალებს და ამ მხრივ ვფიქრობ, ჩვენი სამსახურებიც გაცილებით აქტიურად დაიწყებენ მუშაობას“, – განაცხადა ქანთარიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „ადამიანს, რომელსაც თალიბანი პიროვნება ჰგონია, წარმომიდგენია, გუანტანამოს ციხე რა ჰგონია“



ირმა ნადირაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აღნიშნა, რომ შს მინისტრთან ბევრი კითხვა აქვთ, თუმცა, დეპუტატის თქმით, ამის მიუხედავად ჭიკაიძე პარლამენტში არ მიდის.

„შს მინისტრმა კიდევ ერთი მორიგი წერილი გამოგვიგზავნა და მოგვახსენა, რომ მას არ შეუძლია ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ სხდომაზე მოსვლა. მან მოიმიზეზა, რომ აქვს დიპლომატებთან შეხვედრა. ჩვენ მასთან ბევრი კითხვა გვაქვს. საპროცედური კომიტეტის თავმჯდომარემაც განუმარტა მას, რომ აუცილებელია ამ ტიპის პროცედურების დაცვა და სხდომებზე მისვლა. დარწმუნებული ვარ, მას ბატონმა ღარიბაშვილმა ურჩია, რომ პატივი არ სცეს საპარლამენტო უმცირესობას. ბევრი კითხვა გვაქვს ბატონ ჭიკაიძესთან, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ პასუხების მოსმენა არ გველირსება. მესმის, რომ ჭიკაიძის გამოჩენა თქვენ გერიდებათ და თქვენი აბსოლუტურად მესმის. ადამიანისგან, რომელსაც თალიბანი პიროვნება ჰგონია, წარმომიდგენია, რა პასუხს მივიღებთ, რომ ვკითხოთ, გუანტანამოს ციხე რა ჰგონია“, – განაცხადა ნადირაშვილმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# ლადო სადღობელაშვილი: „შეთანხმების თანახმად, უნდა ჩავარდეს ყველა ის მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რასაც „ქართული ოცნება" შეიტანს პარლამენტში"

## „ორგანიზატორი გახლდათ ხათუნა გოგორიშვილი მისი მეშვეობით მოხდა შეხვედრა ამერიკაში მყოფ მიხეილ სააკაშვილთან"

ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა" ფოტომასალას აქვეყნებს, რომელზეც ასახული არიან საპარლამენტო უმცირესობის წევრი ხათუნა გოგორიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამარ კორძაია, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მე-3 მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი, დათა ახალაიას დროს, ოფიცერი უშიშროების საკითხებში, თამარ მიქაძე და „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელი პარლამენტში ნინო გოგუაძე. „თავისუფალი თაობის" ხელმძღვანელის, ლადო სადღობელაშვილის თქმით, ფოტო ნიუ-იორკში, ბრაზილიურ რესტორან „Churrascaria Plataforma"-შია გადაღებული 22 ნოემბერს.

ფოტოს სადღობელაშვილის კომენტარიც ახლავს: „მას შემდეგ რაც 15 ნოემბერს „ნაციონალურმა მოძრაობამ" ნათლად დაინახა, რომ მას ხალხში არანაირი მხარდაჭერა აღარ აქვს, ტაქტიკა შეცვალა და „ქართულ ოცნებაში" ჩანერგილი აგენტურის საშუალებით საპარლამენტო გადატრიალების გეგმა აამოქმედა. დიდი ხნის განმავლობაში ვაფრთხილებდით ხელისუფლებას და მთელ პოლიტიკურ სპექტრს, რომ „ნაცები" აწარმოებდნენ მუდმივ კონსულტაციებს „ქართულ ოცნებაში" ჩანერგილ პირებთან, რათა საჭირო მომენტში მომხდარიყო მათი ამოქმედება. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ 22 ნოემბრის შეხვედრა, სადაც ე.წ. შესაძლო საპარლამენტო გადატრიალებაზე ისაუბრეს".

**„ალიას" ლადო სადღობელაშვილი ესაუბრა:**

**— ვის მიერ იყო შეხვედრა ორგანიზებული?**

– შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ ხათუნა გოგორიშვილი, სწორედ მისი მეშვეობით მოხდა შეხვედრა ამერიკაში მყოფ მიხეილ სააკაშვილთან. შეხვედრაზე საუბარი იყო პარლამენტში საპარლამენტო კრიზისის გამოწვევაზე. შეთანხმების თანახმად, უნდა ჩავარდეს ყველა ის მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რასაც „ქართული ოცნება" შეიტანს პარლამენტში. ამას კი გააკეთებენ „ნაცები", ალასანიას გუნდი და „რესპუბლიკელები".

შეხვედრაზე, აგრეთვე, საუბარი იყო ბიუჯეტის კანონის შესაძლო ჩაგდებაზეც. ფაქტია, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში" მყოფი ქალბატონი კორძაია აშკარად თამაშობს „ნაციონალური მოძრაობის" თამაშს. ეს ქალი რომ ვერ არის დალაგებული „ქართულ ოცნებასთან" მიმართებაში, ეს მისი განცხადებებიდანაც ჩანს. ქალბატონი გოგუაძე პირდაპირი ხაზია ალასანია-სააკაშვილს შორის. ფოსტალიონივითაა და ინფორმაციის მიმოცვლითაა დაკავებული. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, დათა ახალაიას დროინდელი კუდ-ის მაღალჩინოსნის ახლო კავშირებიც მათთან.

ვაფრთხილებთ ქართველ საზოგადოებას, ხელისუფლებას, რომ მომზადებული საპარლამენტო გადატრიალების გეგმის რეალიზაცია უკვე დაწყებულია. ბოროტული გეგმები მუშავდება. აი, ეს ადამიანები, ეს ძალები, ანუ „რესპუბლიკელები" და ალასანიას გუნდი უთხრიან ძირს „ქართულ ოცნებას" და ფარულ კოალიციაში შედიან „ნაციონალურ მოძრაობასთან", ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა, მით უფრო, რომ წლის ბოლოა და ახლოვდება ბიუჯეტის განხილვის თემა. ყოველივე ეს კი, არ უნდა გახდეს სააკაშვილის ბანდის რევანშის საფუძველი, ამის ნათელი დადასტურებაა „ნაცებთან" შეთანხმებით ხელისუფლების მიერ შეტანილი კანონპროექტების ბლოკირება.

ამათი მიზანია, გამოიწვიონ საპარლამენტო კრიზისი, რაც აუცილებელს გახდის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში სიტუაციას არევს. სააკაშვილმა და „ნაციონალებმა" საზოგადოებას უნდა აჩვენონ, რომ ღარიბაშვილი და ხელისუფლება უძლურია. ესაა მათი მიზანი. ეს ის გუნდია, რომელიც ეცდება სიტუაციის არევას. პარლამენტში ფარულ მოსმენებთან დაკავშირებული კანონპროექტის საკითხის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი სწორედაც ამ შეხვედრის შედეგია. თუ ასე არ არის, რა უნდოდა ქალბატონ ნინო გოგუაძეს ახალაიასდროინდელ, ყოფილ კუდელთან ერთად? რა უნდოდა გოგორიშვილთან ერთად, თუ დაპირისპირებული ძალები არიან?! არანაირი ოფიციალური საქმე არ ჰქონდა თუნდაც კორძაიას ამერიკაში, გინახავთ სადმე, რომ რაიმე საშუალებით გაშუქებულიყოს მისი ვიზიტი? რამე ინფორმაცია გავრცელდა? არა ხომ? ამიტომ ვამბობთ, რომ ეს იყო აშკარად ფარული შეხვედრა, თან ნიუ-იორკში, სადაც ვიცით, რომ სააკაშვილს აქვს ერთგვარი „ნაციონალური ბუდე" მოწყობილი. რეალურად, ნიუ-იორკშია სააკაშვილისდროინდელი მაღალჩინოსნების ბუდე. სწორედ რომ ნიუ-იორკიდან აგვარებს სააკაშვილი საქმეებს საქართველოში და ცდილობს, დათესოს არეულობა. წარმომადგენლებს აგზავნიან პარტიიდან, ერთიც და მეორეც, რაც მათ სამომავლო ნაბიჯებს ხდის აშკარას.

**— საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია, ვინ მოგაწოდათ ფოტოები?**



– ეს ინფორმაცია მოგვაწოდეს ამერიკაში მცხოვრებმა კეთილისმსურველებმა, რომლებიც ქვეყნის ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ.

**— ფოტოები არ არის ფარული, აშკარად ყველამ იცის, რომ უღებენ. ცოტა უცნაურია...**

– ეს ფოტოები ჩვენ ისეთი წყაროსგან გვაქვს და ისეთმა ადამიანმა მოგვცა, რომ მის წინაშე ვერ დაიმალებოდნენ და ვერ დამალავდნენ ერთად ყოფნას.

**აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით, ლადო სადღობელაშვილის მიერ გავრცელებულ ფოტომასალასა და ინფორმაციას ხათუნა გოგორიშვილმა და ნინო გოგუაძემ შემდეგნაირად უპასუხეს:**

„ამ სანდო წყაროს გადაეცით, გადაამოწმოს ხოლმე, ვინ რომელ კონტინენტზე იმყოფება და რომელ რიცხვში. ამ ინფორმაციას ავადმყოფი სადღობელაშვილი ავრცელებს. ფსიქიკური ავადმყოფი სადღობელაშვილის ბოდვებზე კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ. ეს არის ჩემი კომენტარი", – განაცხადა გოგორიშვილმა.

ნინო გოგუაძემ დაადასტურა, რომ აშშ-ში ნამდვილად იმყოფებოდნენ:

„მე ასეთ არასერიოზულ განცხადებებზე და ასეთი ადამიანების განცხადებებზე კომენტარს არ ვაკეთებ. ახლა, მე და ხათუნა გოგორიშვილი პარლამენტის ბუფეტში შესვენებაზე ვართ. მოწმეები გვყავს აქ, რომ არანაირ შეთქმულებას არ ვაწყობთ. არ გეგონოთ, რომ ერთად შეთქმულების გამო ვართ. რაც შეეხება სურათს, ხათუნა გოგორიშვილი, თამუნა კორძაია და მე ნამდვილად ვიყავით ამერიკაში. ოფიციალურად ვიყავით მიწვეული. შეხვედრები გვქონდა კონგრესში, გაეროში. ერთ-ერთ დღეს თამუნა კორძაიას მეგობარმა, რომლის გვარიც არ ვიცი, დაგვპატიჟა კაფეში და ეს იმ კაფეს სურათია. სხვა არაფერი ვიცი. საერთოდ არ ყოფილა ასეთი რაღაც და ამ სისულელეზე კომენტარს მეტად არ გავაკეთებ", – განაცხადა გოგუაძემ.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „უმრავლესობას უბადრუკი არგუმენტები აქვს"



„ნაციონალური მოძრაობის" წევრი ხათუნა გოგორიშვილი უმრავლესობას მათ მიერ შემუშავებული რეზოლუციის საწინააღმდეგო არგუმენტებს უწუნებს.

ხათუნა გოგორიშვილის განცხადებით, ხელისუფლებას „უბადრუკი ლოგიკა" აქვს და უმრავლესობის მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომელიც აფხაზეთ-რუსეთს შორის ე.წ. „სამოკავშირეო" ხელშეკრულების გაფორმებას ეხება, ბევრად უფრო ლოიალურია, ვიდრე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ შემუშავებული რეზოლუცია.

„უმრავლესობას ესმის საკითხის მნიშვნელოვნება, მაგრამ არ უნდათ, რომ ინიციატორები ჩვენ ვიყოთ და უნდათ დროის გაჯანჯლება, რომ თავისი ვარიანტი დაარეგისტრირონ". – განაცხადა გოგორიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" მიერ შემუშავებული რეზოლუცია აბაშიძე-კარასინის ფორმატის შეწყვეტასა და ევროპულ სანქციებთან შეერთებას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „საქართველო ევროინტეგრაციის პროცესში რიგის სამიტზე წინ წაიწევს"



პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი, ლატვიის პრეზიდენტს ანდრის ბერზინშის შეხვდა და შეხვედრის შემდეგ განაცხადა:

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ პირნათლად წარვდგეთ ამ სამიტზე. ლატვიელი მეგობრები, კოლეგები, პრეზიდენტი, მთავრობის წევრები, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გვიცხადებენ სრულ მხარდაჭერას. უკვე შეგვიძლია, დარწმუნებით ვთქვათ, რომ რიგის სამიტზე საქართველო ერთი საფეხურით წინ წაიწევს ევროინტეგრაციის პროცესში. ჩვენ გვინდა სწორედ ასეთი მეგობარი ქვეყნების გაჩენა, რომლებიც არ დაიშურებენ დროსა და ენერგიას. ნახევარი მთავრობა ორი დღით ჩამობრძანდა საქართველოში იმისთვის, რომ გაგვიზიაროს გამოცდილება, დაგვეხმაროს იმ საკითხებში, რაში დახმარებაც საქართველოს სჭირდება. ეს ყველაფერი მოაქვს ევროპულ ინტეგრაციას. ამ ტიპის თანამშრომლობები შეგვაძლებინებს ძალიან ბევრი მიმართულებით გაცილებით სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმას, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა. ჩვენ უნდა დავეწიოთ ევროპას ყველაფრით, პირველ რიგში, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის დონით, დასაქმების, შემოსავლების, უსაფრთხოების დონით. ჩვენ სწორედ ამ თემებზე ვისაუბრეთ და ცხადია, შევეხეთ უსაფრთხოების საკითხებს", – განაცხადა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რა ხდება ჰააგის სასამართლოში სააკაშვილის საქმეზე?

მიწაზე მფორთხავი ექსმთავარსარდალი პანიკაშია... „რუსთავი 2“-ის იმედად დარჩენილი კვირას არ აგდებს, რომ ნიუ-იორკიდან, კიევიდან, ბრიუსელიდან, არ ჩაერთოს და ახალი სკანდალის ავტორად არ მოგვევლინოს... 25 ნოემბერს, გვიან ღამით, გადაცემა „არჩევანში“ გაკეთებული მისი ახალი განცხადება უკავშირდება 2008 წლის 8 აგვისტოს უშიშროების საბჭოს სხდომის გამო პროკურატურაში დაბარებულ მის ყოფილ ოპერატორს. „ტომასო“ შავშიშვილი პროკურატურაში დაიბარეს, გამოძიებას ჰქონდა კონკრეტული კითხვები: „...2008 წლის 8 აგვისტოს იყო უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც ვითომ მან გადაიღო და ვლაპარაკობდით იმაზე, როგორ უნდა გაგვეწყვიტა ოსები. საქმე აღძრულია ოსების გენოციდის ფაქტზე, რუსეთის კომიტეტმა ქართველებთან სინქრონულად გამოაცხადა, რომ ისინი ჩემ მიმართ აღძრავდნენ გენოციდის მუხლით საქმეს და მოითხოვდნენ საერთაშორისო ტრიბუნალზე ჩემს გადაცემას...“

თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ „აგვისტოს ომთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გამოძიებას აწარმოებს, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ საერთაშორისო სასამართლოს თეორიულ დონეზეც კი არ დარჩეს ეჭვები, ქართული მხარის მიერ რაიმე გადაცდომის ჩადენასთან დაკავშირებით. ის, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აქვს დაწყებული გამოძიება, ყველაზე კარგად ეს იცის ზურაბ ადეიშვილმა და თინა ბურჯალიანმა, რადგან ისინი იყვნენ საქართველოდან მათთან კონტაქტზე. არავინ ამტკიცებს, რომ ქართველებმა მოაწყვეს ვინმეს გენოციდი, ამას რომ არ ვამტკიცებთ, ზუსტად ამიტომ უნდა ვითანამშრომლოთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, ჩვენს ინტერესებშია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ეს საქმე იყოს განხილული და საბოლოოდ დადგეს ის წამი, როდესაც რეალურ დამნაშავეს, რუსეთის მაშინდელ ხელისუფლებას აგებინებენ პასუხს“.

ხიდაშელმა სააკაშვილსა და მის მომხრეებს შეახსენა: „...აგვისტოს ომში რუსეთის მიერ ეთნიკური წმენდის განხორციელების დამტკიცებას სწორედ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს და წინამორბედ მთავრობას ამ კუთხით საერთაშორისო სასამართლოში მტკიცებულებების სახით ერთი ფურცელიც არ გაუგზავნია. ჰააგაში ეთნიკურ წმენდაზე მე, თინა ხიდაშელმა 6000 მტკიცებულება გავაგზავნე, მაშინ არასამთავრობო სექტორში ვიყავი...“

სააკაშვილის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სერგი კაპანაძე თინა ხიდაშელს პასუხობს და აცხადებს, რომ ის ცრუობს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს გადაცემული აქვს რამდენიმე ტომი მასალა და პირველ რიგში რუსი სამხედროების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის აქტებთან დაკავშირებით. ერთი რამ ფაქტია, საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი. სხვა შემთხვევაში, რუსეთი ასე ღიად აფხაზებთან და ოსებთან მოკავშირეების ხელშეკრულების გაფორმებასა და ღია ანექსიას სიფრთხილით მოეკიდებოდა.

რა ხდება, რატომ დაპანიკდა სააკაშვილი? ხომ არ შეიტყო თავისი პირადი კავშირების საშუალებით, რომ საბრალდებო სკამზე მოუწევს მალე დაჯდომა?

**მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე „ალიასთან“ საუბარში მნიშვნელოვან ფაქტს იხსენებს.**

– ჯერ კიდევ 2008 წლის შემოდგომაზე სწორედ ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც ჩაიწერა, რომ სააკაშვილი თავისი მოქმედებით ვითარების ესკალაციას ახდენდა რეგიონში, შემდგომ მან დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, დაბომბა მძინარე ქალაქი, რამაც გამოიწვია შემდგომი მასშტაბური საბრძოლო მოქმედებები, რეზოლუცია არ ამართლებდა რუსეთის მთავრობის მოქმედებას, მაგრამ ადეკვატურად ასახავდა მომხდარს, კონკრეტულად სააკაშვილის დანაშაულსა და ღალატს. რეზოლუცია სააკაშვილის მთავრობამ და მისი პარლამენტის წარმომადგენლებმა ტაშის გრიალით მიიღეს და მას სააკაშვილმა უწოდა მორიგი დიპლომატიური გამარჯვება. ეს იყო მისი მხრიდან მორიგი ხრიკი, ხალხს რეალური ინფორმაცია არ მიეღო, თუ რა ეწერა იმ რეზოლუციაში. მისი დეტალები კი ცნობილი გახდა, როცა ბიძინა ივანიშვილმა სიტყვასიტყვით წაიკითხა და თქვა, რომ ამ რეზოლუციის მიხედვით ომი სააკაშვილმა დაიწყო. ეს გახდა „ნაცისტებისთვის“ მიზეზი იმისა, რომ ეთქვათ, ბიძინა ივანიშვილი რუსეთის დავალებას ასრულებსო. მივესალმები, რომ ეს გაყინული საქმე დაიძრა. შესაძლოა, სააკაშვილის ოპერატორს ისეთი მასალები ჰქონდეს შენახული, რაც ბევრ რამეს ნათელს მოჰფენს.

**— ხიდაშელი აცხადებს, ჩვენს ინტერესშია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ეს საქმე იყოს განხილული და დადგეს წამი, როცა რუსეთის მაშინდელ ხელისუფლებას აგებინებენ პასუხს. აცდება თუ არა სააკაშვილი პასუხისმგებლობას და წაუყენებენ თუ არა ბრალს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო? პროკურატურა 2008 წლის აგვისტოს ამბებს იძიებს.**

– იცით, რატომ ეწვით კუჭები „ნაცისტებს“? გამოძიება თუ დაიწყო, გამოძიება უსათუოდ გაეცნობა ყველა მხრიდან მასალებს, მასალა კი



**„რეზოლუცია სააკაშვილის მთავრობამ და მისი პარლამენტის წარმომადგენლებმა ტაშის გრიალით მიიღეს და მას სააკაშვილმა უწოდა მორიგი დიპლომატიური გამარჯვება. ეს იყო მისი მხრიდან მორიგი ხრიკი, ხალხს რეალური ინფორმაცია არ მიეღო, თუ რა ეწერა იმ რეზოლუციაში. მისი დეტალები კი ცნობილი გახდა, როცა ბიძინა ივანიშვილმა სიტყვასიტყვით წაიკითხა და თქვა, რომ ამ რეზოლუციის მიხედვით ომი სააკაშვილმა დაიწყო“**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## სოხუმის აეროპორტი მმართველობაში რუსულ კომპანიას გადაეცემა

სოხუმის ე.წ. საერთაშორისო აეროპორტი მმართველობაში რუსულ კომპანიას გადაეცემა. აფხაზეთის ე.წ. პრემიერ ბესლან ბუთბას თქმით, რუსული კომპანიების მმართველობაში გადავა აეროპორტის ყველა ნაწილი, ასაფრენ-დასაფრენი ბილიკისა და სადისპეტჩეროს გარდა.

ბუთბამ სოხუმის სურვილი, სომხეთთან და რუსეთთან სარკინიგზო კავშირის აღდგენასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ დაადასტურა. (ნიუპოსტი)

## ქართველ სპორტსმენს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერს, თავისუფალი სტილით მოჭიდავე მძიმეწონოსან (120 კგ) გენო პეტრიაშვილს დოპინგ-ტესტის ჩაგდების გამო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს.

sportall.ge-ს ცნობით, ზაფხულში ზაგრებში, ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში პეტრიაშვილმა კანადელი მოჭიდავე ამარ დესი დაამარცხა. კანადის ჭიდაობის ფედერაციას ფილამ შეატყობინა, რომ პეტრიაშვილს მსოფლიო ჩემპიონის მედალი ჩამოერთვა და ის კანადელთა ფალავანს გადაეცა.

შეგახსენებთ, რომ აგვისტოში გამართული პირველობის შემდეგ გენო პეტრიაშვილმა დოპინგ-ტესტი ჩააგდო, რისთვისაც 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ახლა ამას მედლის ჩამორთმევაც მოჰყვა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## შსს-მ ბაკურიანის რწმუნებული დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული დავით გიორგაძე ამხილეს და დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, გიორგაძემ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფთან ერთად, თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას, თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, დაბა ბაკურიანში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ მიწაზე კომერციული ფართის ნებართვის გარეშე აშენების სანაცვლოდ მოქალაქეს მოსთხოვა და გამოართვა 3000 აშშ დოლარი. მისი პირადი ჩხრეკისას ქრთამის სახით აღებულ ფულთან ერთად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და სამი ვაზნით, რომელიც დავით გიორგაძემ არამართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და უკანონოდ ატარებდა.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღების, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით, 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

ძალიან ბევრია. ასევე, რუსეთიც მიაწვდის მასალებს, საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებშია და ტალიავინის კომისიის დასკვნაშია ჩაწერილი, რომ სააკაშვილის ბრძანებით დაიბომბა მშვიდობიანი ქალაქი ცხინვალი, თანაც ისეთი იარაღით, რომელიც არ იყო ზუსტად დამიზნებადი იარაღი, ილუპებოდა როგორც მშვიდობიანი მოსახლეობა, ასევე სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები, ეს არის ძალიან დიდი დანაშაული. მე ვიცი შიგნიდან ერთი ინფორმაცია, სააკაშვილმა გამოიყენა კასეტური ბომბები, ეს დამტკიცებულია. მშვიდობიანი მოსახლეობა დაბომბა „გრადებით", რასაც მოჰყვა ძალიან დიდი მსხვერპლი და ამის გამოა დამნაშავე.

**„დღეს სააკაშვილსა და „ნაციონალებს" უნდათ გამოძიება წარიმართოს ისე, თითქოს მხოლოდ რუსეთმა ჩაიდინა ეთნიკური წმენდა და მეტი არაფერი არ ყოფილა. არც ერთი სასამართლო საკითხს ასე არ მიუდგება. როცა ტომებით დევს მასალები, თვალებს ვერ დახუჭავენ. ასე რომ, საინტერესო პროცესების მომსწრენი გავხდებით"**

— **სააკაშვილი დამფრთხალი და შეშინებული გამოიყურება, რეალურად აქვს მას ამის მიზეზი?**

– რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ დასავლეთი მხარს არ უჭერს. არ გამორიცხავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მასზე გამოცხადდება საერთაშორისო ძებნა. სააკაშვილმა ყველაზე კარგად თვითონ იცის, რა ჩაიდინა, რა ბრძანება გასცა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და შემდეგ რას აკეთებდა, რა მეთოდებით აღწევდა მიზანს. აი, მითხარით, სამი ოსი ახალგაზრდა, მათ შორის არასრულწლოვანი, რომელიც 2008 წლის შემოდგომაზე შეიპყრეს, ქართველმა დამკვირვებლებმაც დააფიქსირეს, როგორ წაიყვანა საქართველოს პოლიციამ ისინი. სად არიან დღეს ისინი? გააქრეს. ეს ფაქტი გადაცემულია საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, არავის ეპარება ეჭვი, რომ სააკაშვილის დავალებით წამებით მოკლავდნენ ოს ახალგაზრდებს და მათ გვამებსაც გააქრობდნენ.

— **ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნასვამ მდგომარეობაში გასცა სააკაშვილმა ცხინვალის დაბომბვის ბრძანება. ეს სიმართლეა?**

– მე გეტყვით, რაც ვიცი. ზოგიერთმა ევროპელმა ელჩმა 2008 წლის ივლისის ბოლოს მითხრა, ჩვენ ვიცით, რომ სააკაშვილს გადაწყვეტილი აქვს ომის დაწყება, ვიწრო წრეში ბაქიბუქობს, 2 საათში ავიღებთ ცხინვალს, იმ დღესვე გადავკეტავ როკის გვირაბს და ყველაფერი მორჩებაო. ერთმა ელჩმა საინტერესო ამბავი მითხრა. მისი ქვეყნის მოქალაქემ, რომელიც ალპინისტად იყო ჩამოსული, ფეხი დაიზიანა. ის არ მიიღეს საავადმყოფოში, უთხრეს, ადგილი არ არისო. არადა, ზუსტად ვიცი, ცარიელი იყო პალატაში ადგილები, მაგრამ არავის იღებდნენ, რადგან სააკაშვილი ომს აპირებდა და საავადმყოფოები დასჭირდებოდათ. მე არ ვიცი, იმ დღეს, როცა ომი დაიწყო, სააკაშვილი ნასვამი იყო თუ კოკაინი ჰქონდა მიღებული, ყველა ლაპარაკობდა, რომ ის მაშინ კოკაინზე იჯდა, იმდენს ყნოსავდა, ცხვირიდან სისხლისდენა ეწყებოდა.

დღეს სააკაშვილსა და „ნაციონალებს" უნდათ გამოძიება წარიმართოს ისე, თითქოს მხოლოდ რუსეთმა ჩაიდინა ეთნიკური წმენდა და მეტი არაფერი ყოფილა. არც ერთი სასამართლო საკითხს ასე არ მიუდგება. როცა ტომებით დევს მასალები, თვალებს ვერ დახუჭავენ. ასე რომ, საინტერესო პროცესების მომსწრენი გავხდებით.

**რამდენიმე წლის წინათ იურისტებმა შალვა ხაჭაპურიძემ და ვალერი გელბახიანმა ჰააგის სასამართლოს სააკაშვილის რეჟიმის მამხილებელი დოკუმენტური მასალა გადასცეს და სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო. ჰააგის ტრიბუნალში მიმდინარე პროცესებზე შალვა ხაჭაპურიძე „ალიასთან" ინტერვიუში საუბრობს:**



– ჰააგის სარჩელის იდეა გაუჩნდა პოლიტპატიმარ მერაბ რატიშვილს, ეს დოკუმენტი მზადდებოდა საიდუმლოდ, არის 120-გვერდიანი და შედგება 4 ნაწილისგან, თუ როგორ შექმნა ტირანული მმართველობა სააკაშვილმა, იქიდან მოყოლებული, მე-3 ნაწილში ჩვენ ვეხებით 2008 წლის აგვისტოს ომს. ამ ნაწილში ძირითადად დავეყრდენით ტალიავინის კომისიის დასკვნას. ამის შედეგად ჩვენ ვითხოვდით, რომ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებულიყო სისხლის სამართლებრივი დევნა, რომის სტატუტის VII და VIII მუხლებით. VII მუხლი ნიშნავს დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ და VIII მუხლი ნიშნავს სამხედრო დანაშაულს. ჩვენ არ ვამტკიცებდით, ომი საქართველომ დაიწყო, თუ რუსეთმა. მე და ბატონი გიორგი ფოფხაძე შევხვდით ჰააგის პროკურორს, ჩავიტანეთ ეს სარჩელი, ბატონ ლუის მორენო ონკაპო სამხედრო დანაშაულებს იძიებდა წლების განმავლობაში, ზუსტად ამ გამოცდილების გამო დაინიშნა ჰააგაში ჰააგის სასამართლოს პროკურორად, მასთან რამდენიმესაათიანი შეხვედრა გვქონდა მე და გიორგი ფოფხაძეს, გადახედა სარჩელს და მიიღეს წარმოებაში. ამის შემდეგ რამდენიმე პროკურორი ჩამოსული იყო საქართველოში, მაგრამ რატომღაც ეს საკითხი მიჩუმათდა. თუმცა, ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ჩამოსული პროკურორები ამ საქმეზე მუშაობდნენ. ჰააგის პროკურორმა გვითხრა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი მოსახლეობის ხელმოწერებს შევაგროვებდით და ოპოზიციაც შემოგვიერთდებოდა. ჩვენ მაშინ 90 ათასი ხელმოწერა შევაგროვეთ. „ნაცმოძრაობისთვის" ეს სარჩელი იყო შოკისმომგვრელი.

**„თუ საქართველოს პროკურატურა ამ კუთხით აქტიურად იმუშავებს, სააკაშვილი გახდება ჰააგის სასამართლოს სუბიექტი. მე ვიყავი ჩასული ჰააგაში, მიდის აქტიური მუშაობა, შევხვდი რამდენიმე პიროვნებას, სპეციალური კოდიც მომცეს, თუ რა კოდით გამეგზავნა შემდეგი წერილი, რადგან იყო საშიშროება, ვიღაცას ჩემი სახელით გაეგზავნა წერილი, უკან გამოეთხოვა, ამიტომ დაცვის პრევენციის გამო კოდიც მომანიჭეს"**

— **ახლა რა პროცესშია ეს საქმე?**

– მიმდინარეობს გამოძიება, როდესაც დოკუმენტი ჩავიტანეთ, ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის აპარატიდან დამიკავშირდნენ, გამომიგზავნეს პირადი მოწვევა და მითხრეს, რომ ჩავსულიყავი. როგორც აღმოჩნდა, ჰააგის სასამართლომ დოკუმენტის ასლი გადაუგზავნა ევროპარლამენტს. ჩვენ შევხვდით ჰეიდი ჰაუტალას, რომელიც დეტალურად იცნობდა ამ დოკუმენტს, მაშინ გადაწყდა, რომ 3 თვეში მოხდებოდა ევროპარლამენტის კომიტეტზე ამ საკითხის გატანა. თუმცა მოხდა ისე, რომ ქალბატონი ჰეიდი სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს, ამასობაში გამოჩნდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი და ამ საკითხმა გადაიწია უკანა პლანზე, მაგრამ დაახლოებით 3 თვის წინ გაეროს უშიშროების საბჭოს დოკუმენტი ჩამოვიდა, სადაც საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, ჩატარდეს გამოძიება იმ დანაშაულებზე, რაც საქართველოში ხდებოდა ამ წლების განმავლობაში და აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, როგორც სამხედრო დანაშაულის, ასევე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო. მაშინ „ნაციონალები" იყვნენ შოკში, ამ დოკუმენტში, ფაქტობრივად, მეორდებოდა ის ტექსტი, რა მოთხოვნითაც ვამთავრებდით 120-გვერდიან დოკუმენტს ჰააგის პროკურატურაში. დღეს იქ მიმდინარეობს ამ თემასთან დაკავშირებით გამოძიება, თუ საქართველოს პროკურატურა ამ კუთხით აქტიურად იმუშავებს, სააკაშვილი გახდება ჰააგის სასამართლოს სუბიექტი. მე ვიყავი ჩასული ჰააგაში, მიდის აქტიური მუშაობა, შევხვდი რამდენიმე პიროვნებას, სპეციალური კოდიც მომცეს, რა კოდით გამეგზავნა შემდეგი წერილი, რადგან იყო საშიშროება, ვიღაცას ჩემი სახელით გაეგზავნა წერილი, უკან გამოეთხოვა, ამიტომ დაცვის პრევენციის გამო კოდიც მომანიჭეს. ეს კოდი ახლაც მუშაობს.

— **კიდევ ერთხელ რომ შეგვახსენოთ, ამ დოკუმენტში რა ფაქტები გქონდათ თავმოყრილი?**

– ამ 120-გვერდიან დოკუმენტში შედიოდა ჟვანიას მკვლელობის საქმე, 124 ჩაცხრილული ბიჭის საქმის მასალები და ყველა ის გახმაურებული საქმე, რაც სააკაშვილის მმართველობას უკავშირდება.

»» **ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „უკრაინის მოვლენები ინაცვლებს კავკასიაში"



ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრ ედგარ რინკევიჩუსის განცხადებით, „ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ უკრაინის მოვლენები ინაცვლებს კავკასიაში და საერთაშორისო საზოგადოება მზად უნდა იყოს ამ გამოწვევებისთვის".

მისივე თქმით, ლატვიის დელეგაციის თბილისში ვიზიტის მთავარი მიზანი საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისკენ მხარდაჭერის დასტურია.

„პირველ რიგში, ვიზიტის მიზანია, საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფების მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დავადასტუროთ. ჩვენ, როგორც ეროკავშირის მომავალი თავმჯდომარე ქვეყანა, მზად ვართ, ვიმუშაოთ რიგის სამიტისთვის საქართველოს მთავრობასთან ერთად. იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ ვიზალიბერალიზაციის პროგრამის ბოლომდე მიყვანას". — აღნიშნა რინკევიჩუსმა.

იგი სოხუმსა და მოსკოვს შორის გაფორმებულ ე.წ. ხელშეკრულებასაც გამოეხმაურა:

„ჩვენ უკვე დავგმეთ იმ ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაა. ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ უკრაინის მოვლენები ინაცვლებს კავკასიაში და საერთაშორისო საზოგადოება მზად უნდა იყოს ამ გამოწვევებისთვის", — დასძინა რინკევიჩუსმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელი პასუხისგებაში მისცეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მარნეულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ამირან დეკანოიძე პასუხისგებაში მისცა.

საგამოძიებო უწყების ცნობით, დადგენილია, რომ ბრალდებულმა ერთ-ერთ მეწარმე სუბიექტს, მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გარე რეკლამის ნებართვის გარეშე განათავსებინა სარეკლამო ბანერები და პირადად აიღო პასუხისმგებლობა, რომ კანონდარღვევის მიუხედავად არ მოხდებოდა მეწარმე სუბიექტის დაჯარიმება. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში თავისუფლების 3 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს. (ფრონტნიუსი)

## „ლატვია ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველომ თავი დაცულად იგრძნოს"



ლატვიის პრეზიდენტ ანდრის ბერზინშის განცხადებით, „ევროკავშირის თავმჯდომარეობის პერიოდში მისი ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველომ თავი დაცულად იგრძნოს".

„ევროკავშირში ლატვიის პრეზიდენტობის დროს ბევრს მივაღწევთ, რომ საქართველოს თავი დაცულად ვაგრძნობინოთ. საქართველომ უნდა იგრძნოს, რომ წინ მიდის. ბევრი რამ ამ თვალსაზრისით ქართველ ხალხზეც არის დამოკიდებული. ჩვენ ჩვენს ნაწილს გავაკეთებთ, დაპირებებს შევასრულებთ. საქართველოს კი მინდა, ვუსურვო, გაიხსნას ჩვენთან აქტიური თანამშრომლობისთვის", – განაცხადა პრეზიდენტმა. (ფრონტნიუსი)

# რატომ ვერ აუსრულა რკინიგზის შეფმა კოკა გუნცაძემ ოცნება რკინიგზელებს

**რა ხდება „საქართველოს რკინიგზაში“ ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ? რატომ აწყობენ რკინიგზელები პერიოდულად აქციებს? რატომ აქვთ პრეტენზიები რკინიგზის მუშაკებს მის ხელმძღვანელ კოკა გუნცაძესთან, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე მუდმივად სამართლიანოლბაზე საუბრობდა? რა უკიდურეს ზომებს შეიძლება მიმართონ რკინიგზელებმა?**

**„ალიას“ „რკინიგზის ახალი პროფკავშირის“ თავმჯდომარე, ვიტალი გიორგაძე ესაუბრება გაფიცვის მიზეზებზე, რკინიგზელთა მოთხოვნებსა და ამ სფეროში არსებულ სხვა პრობლემებზე:**

**— ბატონი ვიტალი, კონკრეტულად რა მოთხოვნებს უყენებთ რკინიგზის ადმინისტრაციას?**

– სულ სამად სამი მოთხოვნა გვაქვს – საახალწლო პრემია, ანუ მეცამეტე ხელფასის დარიგება თანამშრომელთათვის, სახელფასო სისტემა, რომელიც კლებაზე კი არა, მატებაზე იქნება ორიენტირებული და ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ანაზღაურება. რკინიგზის ხელმძღვანელობა აპირებს, რომ თანამშრომლებმა, მათ შორის, მემანქანეებმა და ტექნიკურმა პერსონალმა, რომლებიც სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს, ტესტირება გაიარონ.

**— მერედა, რას ხედავთ ცუდს ტესტირებაში? სახელმწიფო უწყებამ რომ საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაცია გადაამოწმოს, უფრო კვალიფიციურ და კომპეტენტურ ხალხს გაუხსნას გზა, ეს ხომ ჩვეულებრივი პროცესია?**

– ასე რომ აპირებდნენ, ხმას საერთოდ არ ამოვიღებდი. იცით, რას აპირებენ ამ ტესტირების შემდეგ? ავიღოთ მემანქანის პოზიცია. თუ კონკრეტული მემანქანე ვერ გაივლის ტესტირებას და აღმოჩნდა, რომ კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს ვერ გადალახავს, ასეთ ადამიანს სამსახურიდან კი არ უშვებენ, ადმინისტრაციას აქვს ასეთი პოზიცია – თუ ამ მემანქანემ ვერ გაიარა ტესტირება, მას ხელფასს დააკლებენ. ახლა, გეკითხებით, თუ მემანქანე არ არის კვალიფიციური და ეს ტესტირებამ დაადასტურა, 200 ლარს რომ ჩამოაკლებ, რა, მერე კვალიფიკაცია მოემატება? ასეთ შემთხვევაში, უნდა დააქვეითო ასეთი მემანქანე, მას აღარ უნდა მიანდო ლოკომოტივის მართვა, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია მოძრაობის უსაფრთხოებასთან. სატვირთო გადაზიდვებს თავი დავანებოთ და ასეულობით ადამიანის სიცოცხლეს აგდებენ საფრთხეში, რადგან ასეთ არაკომპეტენტურ მემანქანეს ლოკომოტივის მართვას ანდობენ. თუ ვერ გაიარა მემანქანემ ეს ტესტირება, უნდა ჩამოაქვეითო, მორჩა და გათავდა. ხელფასის დაკლება რა შუაშია?

**— კი, მართალი ბრძანდებით, რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, 1000-ლარიანი მემანქანე გადამჩეხავს თუ 800-ლარიანი? არაკომპეტენტური მემანქანე უნდა ჩამოქვეითდეს და კვალიფიკაციის ამაღლებაზე იზრუნოს, ეს ძალიან ელემენტარული საკითხია.**

– მაგას ვამბობ მეც. დღეს 1000 ლარი აქვთ მემანქანეებს ხელფასი, ეს ხალხი ძალიან კვალიფიციურია და არა მხოლოდ მემანქანეები, საერთოდ, ყველა გაფიცული მეტად კვალიფიციურია თავის საქმეში. „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობა ამაყობს, რომ 2014 წლის 9 თვის განმავლობაში მისმა შემოსავალმა ისტორიულ პიკს მიაღწია. 4800 კაცია გაფიცული და მაინტერესებს, ამ ხალხს არ მიუძღვის წვლილი ამ ისტორიულ მიღწევაში? ეს ხალხი არ მუშაობდა თავდადებით იმისთვის, რომ რკინიგზას ასეთი მოგება ჰქონოდა? დღეს ამ ადამიანებისთვის 1 თვის ხელფასი ენანებათ საახალწლო პრემიად, რადგან, 1 კაცზე 1000 ლარზეა ლაპარაკი და ზოგს ნაკლებიც აქვს. კეთილი ინებონ რკინიგზის მესვეურებმა და იმ ისტორიული შემოსავლიდან, ამ ხალხს დაურიგონ მეცამეტე ხელფასი, რომელიც ყოველ წელს ურიგდებოდათ და მაინცდამაინც წელს, როცა რკინიგზას ამხელა შემოსავალი აქვს, უარს ეუბნებიან. დასცინიან ამ ადამიანებს – 25%-ს მოგცემთ ახალ წელს პრემიადო. სირცხვილია, რა! ამ ადამიანებმა ის არ დაიმსახურეს, რომ ახალ წელს მათი ოჯახები ნორმალურად დახვდნენ? გარდა ამისა, ვითხოვთ ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას. ზოგან 40, ზოგან 48 საათია ჩვეულებრივი სამუშაო დღე, მაგრამ რკინიგზის სპეციფიკიდან გამომდინარე და იმის გამო, რომ ამ უწყების ხელმძღვანელებმა ბევრ საქმეს თავი ვერ მოაბეს, რკინიგზელთა დიდ ნაწილს უწევს დამატებითი საათების მუშაობა, ამისთვის კი მათ არაფერს უხდიან. ჩვენ ვითხოვთ, ზეგანაკვეთურ სამუშაო ზღვარად 50 საათი დადგინდეს და ამის ზევით რასაც იმუშავებს ხალხი, ეს საათები აუნაზღაურონ. თუ რკინიგზაში ხელფასების შემცირების ტენდენციის დანერგვას აპირებენ, ადგნენ და უმაღლეს მენეჯმენტში რომ უსაქმურები არიან და არაფერს აკეთებენ, მათ შეუმცირონ ხელფასი, 6-7 ათასი ლარი რომ აქვთ. აბა, 1000 ლარი რომ აქვთ მემანქანისა და მორიგის უმძიმესი პროფესიის ადამიანებს ხელფასი, როგორ შეიძლება, მათ დააკლო და თანაც, ამ აბსურდული ტესტირებით?

**— კონკრეტულად ვის აქვს ეს მაღალი ხელფასები?**

– ძალიან ბევრს, მოიკითხეთ და გაიგებთ. ზოგს, სავარაუდოდ, მეტიც აქვს. უკვე იმდენი ხალხი მოიყვანეს დეპარტამენტში... რას აკეთებს ამდენი ადამიანი აქ, ჩემთვის გაუგებარია.

**— ახალმა ხელმძღვანელმა, კოკა გუნცაძემ და მისმა ახალმა მენეჯერებმა მოიყვანეს ეს უფუნქციო ხალხი დეპარტამენტში?**

– ბუნებრივია, ცენტრალურ აპარატს დაამატეს ხალხი, მაგათთვის არ ენანებათ ხელფასები და მემანქანეებს, მორიგეებსა და გამცილებლებს მიადგნენ...

**— რამდენი კაცი დაემატა დეპარტამენტს გუნცაძის მოსვლის შემდეგ?**

– სავარაუდოდ, 140-200 კაცი, ზუსტი რაოდენობა არ ვიცი, მაგრამ დაახლოებით ამდენია.

**— რომელი სარკინიგზო კვანძები გაიფიცნენ?**

– თბილისი, გურჯაანი, ბათუმი, სამტრედია, ხაშური და ფოთი.

**— და რას აპირებთ, თუ თქვენი მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს?**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*





**„თუ კონკრეტული მემანქანე ვერ გაივლის ტესტირებას, ასეთ ადამიანს სამსახურიდან კი არ უშვებენ, ადმინისტრაციას აქვს ასეთი პოზიცია — თუ ამ მემანქანემ ვერ გაიარა ტესტირება, მას ხელფასს დააკლებენ. 200 ლარს რომ ჩამოაკლებ, რა, მერე კვალიფიკაცია მოემატება? მას აღარ უნდა მიანდო ლოკომოტივის მართვა, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია მოძრაობის უსაფრთხოებასთან. სატვირთო გადაზიდვებს თავი დავანებოთ და ასეულობით ადამიანის სიცოცხლეს აგდებენ საფრთხეში“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარმანიას გეგმა თბილისში არსებული საცობების მოგვარებაზე



თბილისის მერი დავით ნარმანია ბოლო დღეებში დედაქალაქში არსებული საცობების პრობლემას ეხმაურება.

„უკვე დავიწყეთ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება პუშკინის გამზირზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენითა და სანაპიროს გაფართოების პროექტებით. ასევე, მნიშვნელოვანია შუქნიშნების მართვასთან დაკავშირებული პროექტი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს. მომდევნო წელს დაგეგმილია მდინარე მტკვარზე არსებული რამდენიმე ხიდის რეაბილიტაცია, თუმცა, ახალი ხიდის მშენებლობა 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის“, – განაცხადა ნარმანიამ (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ბესელია ბერძენიშვილის განცხადებას არაკორექტულს უწოდებს



უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია ლევან ბერძენიშვილის განცხადებას ეხმაურება, სადაც დეპუტატი ეჭვობს, რომ ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტში ლევან იზორიას ტექსტია.

„შსს ჩართული იყო იმ სამუშაო ჯგუფში, რომელსაც ხმალაძე ხელმძღვანელობდა, თუმცა მაშინ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი არავის გახსენებია. ლევან იზორია მთავრობის წარმომადგენელია, მისი მომზადებული კანონპროექტები პარლამენტში ძალიან ბევრი გვინახავს და მის მიმართ გაკეთებული განცხადებები არაკორექტულია. ვწუხვარ, რომ მჭირდება იმის შეხსენება, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ნაწილი არის უსაფრთხოების ნაწილი“, – განაცხადა ეკა ბესელიამ. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

– რკინიგზის სრულ პარალიზებას მოვახდენთ და ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვაცხადებთ გაფიცულთა სახელით. გაფიცვა უვადოა და ვიდრე ეს სამი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ხალხი სამუშაოდ არ გამოვა. რკინიგზის ხელმძღვანელები კი აცხადებენ, რომ შეფერხება არ ყოფილა და რკინიგზა შეუფერხებლად მუშაობდა, მაგრამ ასე არ ყოფილა, იყო შეფერხებები და თუ ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, რკინიგზა გაჩერდება.

**— „საქართველოს რკინიგზამ“ გაავრცელა განცხადება, რომ ჩვენ ადრე გაფიცულ თანამშრომლებს 9 მოთხოვნიდან 7 შევუსრულეთ და დანარჩენი 2 მოთხოვნის კანონიერების საკითხი სასამართლოში განიხილებაო. სავარაუდოდ, წელს. მაისში რკინიგზელთა გაფიცვასა და მათ მოთხოვნებს გულისხმობენ?**

– მაისში გაფიცვის სათავეშიც „რკინიგზის ახალი პროფკავშირის“ ხელმძღვანელები ვიყავით, მაშინაც იგივე მოთხოვნები გვქონდა და არც ერთი მთავარი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა. ამ 9 მოთხოვნის შეთანხმების პროცესში რაღაც კონსენსუსს კი მივაღწიეთ, თუმცა ყველა მთავარი საკითხი მაინც ღიად დარჩა, ვერც ერთზე იმ ორიდან ვერ შევთანხმდით. შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან დეტალზე მივაღწიეთ შეთანხმებებს და ამას გულისხმობენ, ალბათ. თუმცა, ვიმეორებ, ჩვენი 2 მთავარი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა. მაშინ რომ ეს მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ, აბა, ახლა რატომ გაიფიცებოდა ეს ხალხი? დღეს ჩვენი 3 მოთხოვნიდან 2 იმჟამინდელია.



**„ენას ძვალი არა აქვს და ყველაფერს იტყვიან. რა გამოდის? მაშინ 7 მოთხოვნა არ იყო მთავარი, ნაკლებმნიშვნელოვანი იყო და 2 მთავარიო? მაშინ 7 რატომ შემოიტანეს, ის 2 შემოეტანათ, რომელზეც ვერ მოხდა შეთანხმება. ცხადია, ტყუილია ესეც“**

**— ამ განცხადებაში ისიც ნათქვამია, რომ „საქართველოს რკინიგზაში“ 12 000 კაცზე მეტი მუშაობს, რაღაც მცირე ჯგუფი გაიფიცა და ეს რკინიგზის მუშაობას არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის, არც გაფიცულთა მოთხოვნებია რკინიგზის თანამშრომელთა დიდი ნაწილის მოთხოვნაო.**

– მიპოვეთ რკინიგზის ერთი თანამშრომელი, რომელიც მოთხოვნებს არ ეთანხმება. ცხადია, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს არ ვგულისხმობ. 12 000 კაცზე მეტი კი მუშაობს რკინიგზაში, 4 800 კაცია გაფიცული და კიდევ ბევრი შემოგვიერთდება. უმჯობესია, ამ განცხადებების გაკეთებას, ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები შეასრულონ და რკინიგზას პარალიზებამდე ნუ მიიყვანენ. იმასაც ამბობენ, რომ ჰყავთ მემანქანეები, მორიგეები, რომლებიც გაფიცულებს ჩაანაცვლებენო. კი, ჰყავთ სარეზერვო ბრიგადები, გამოიყვანეს და მათით ჩაანაცვლეს გაფიცული მემანქანეები. თუ გაფიცვა მასშტაბური არ არის, ყველა სარეზერვო თანამშრომლის ერთდროულად გამოძახება რაში დასჭირდათ? გარდა ამისა, ეს სარეზერვო მემანქანეები თუ სხვები, რამდენ ხანს იმუშავებენ ცვლის გარეშე? 1-2 დღე და მერე ვერც ისინი შეძლებენ მუშაობას. გარდა ამისა, ამ ხალხს, რომელიც ახალი მენეჯმენტის მოყვანილია, გამოცდილება არ აქვს, არ იციან საქმე, შეიძლება რაღაც უბედურება მოხდეს.

**„საქართველოს რკინიგზაში“ გაფიცვამ სერიოზული ხასიათი რომ მიიღო, ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა კომენტარი, რკინიგზის ხელმძღვანელებს მოუწოდა, შეხვდნენ გაფიცულებს, მოუსმინონ მათ და მიიღონ მართებული გადაწყვეტილება.**

**„ალია“ მეორე მხარესაც დაუკავშირდა. ჩვენს კითხვებსა და ვიტალი გიორგაძის პრეტენზიებს „საქართველოს რკინიგზის“ პრესცენტრის უფროსი, დაჩი ცაგურია უპასუხებს:**

**— დაჩი, ეკონომიკის მინისტრიც კი გამოვიდა განცხადებით რკინიგზელთა გაფიცვასთან დაკავშირებით. ეტყობა, მართლა სერიოზულად არის საქმე.**

– არა, ასე არ არის. მთელი საქართველოს მასშტაბით, 12 786 თანამშრომლიდან, მაქსიმუმ, 100 ადამიანია გაფიცული. არც ერთ მატარებელს, არც ერთ სამგზავრო შემადგენლობას არც ერთ სადგურში არ დაუგვიანია, არც ერთ სატვირთო შემადგენლობას არსად არ დაუგვიანია, ყველა ტვირთი ჩატანილია დანიშნულების ადგილას.

**— სარეზერვო ჯგუფების ხარჯზე მუშაობდა რკინიგზა, რომლის წევრებსაც კომპეტენცია აკლიათ და მათი გამოყვანა საფრთხეა რკინიგზის უსაფრთხოებისთვისო.**

– ტყუილია, არანაირი სარეზერვო მემანქანეები არ გამოგვიყვანია, ვისაც დღეს უწევდა მუშაობა, ის ხალხი მუშაობდა. ბევრს ათეული წლის გამოცდილება და ვიტალი გიორგაძის ასაკის სამუშაო სტაჟი აქვს. მას მოვუწოდებ, შეწყვიტოს ჩვენი მემანქანეების შეურაცხყოფა. ვიტალი გიორგაძე და ილო ლეჟავა დასაქმებულთა უფლებების დაცვის ნაცვლად, გადასულნი არიან მათ შეურაცხყოფაზე, იმის გამო, რომ მათ პოზიციას არ იზიარებენ, მუშაობენ და არ იფიცებიან. ეგენი პროფკავშირების წარმომადგენლები არიან, მათი აქტივისტები დადიან და მემანქანეებსა და სხვა თანამშრომლებზე ახორციელებენ ზეწოლას, რომ ისინიც გაიფიცონ. ეუბნებიან, რომ არავაჟკაცურად იქცევიან, კოლეგებს ღალატობენ.

**— ამ ხალხს 3 მოთხოვნა აქვს და ერთი მითხარი, რომელი არ არის კანონიერი და სამართლიანი? ჩამოგითვლი მათ მოთხოვნებს...**



**თუ რკინიგზაში ხელფასების შემცირების ტენდენციის დანერგვას აპირებენ, ადგნენ და უმაღლეს მენეჯმენტში რომ უსაქმურები არიან და არაფერს აკეთებენ, მათ შეუმცირონ ხელფასი, 6-7 ათასი ლარი რომ აქვთ. აბა, 1000 ლარი რომ აქვთ მემანქანისა და მორიგის უმძიმესი პროფესიის ადამიანებს ხელფასი, როგორ შეიძლება, მათ დააკლო და თანაც ამ აბსურდული ტესტირებით?**

– არ მინდა, არა, ზეპირად ვიცი უკვე. ადრე მათ შემოიტანეს 9-პუნქტიანი მოთხოვნა ოფიციალურ დოკუმენტად, ცხრიდან შვიდზე დავეთანხმეთ მათ. მაშინ განვაცხადეთ, რომ საახალწლო პრემიას გავცემდით, ოღონდ ხელფასის 25%-ის ოდენობით. ჩვენ ვაკეთებთ ახალ საპრემიო სისტემას, რკინიგზაში ამიერიდან აღარ იქნება მე-13 ხელფასი, პრემიები გაიცემა კვარტალში ერთხელ დამსახურების მიხედვით – ხარისხიანი, თავდადებული მუშაობისთვის. ახალი წლიდან ეს სისტემა იმუშავებს. შემდეგ კი, წელიწადში ოთხჯერ გავცემთ პრემიას დამსახურების მიხედვით.

**— დაჩი, რკინიგზამ წელს 9 თვის მანძილზე შემოსავლის რეკორდული მაჩვენებელი აჩვენა. ამხელა შემოსავალში ამ თანამშრომლებს წვლილი ხომ მიუძღვით? ადექით, დაურიგეთ ეს ერთი თვის ხელფასი პრემიად და ეს ნაწილი აღარ იქნება სადავო. მაინც გაისად აპირებთ იმ ახალი საპრემიო სისტემის ამუშავებას.**

– ჩვენი თანამშრომლების წვლილს ამ საქმეში არავინ უარყოფს, მათი დამსახურებაც არის ეს შემოსავლები. მაგრამ ახალი საპრემიო სისტემა დამტკიცებულია, მართალია, გაისად ამოქმედდება, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ წელს ხელფასის 25% გაიცემა პრემიად. იმასაც ამბობენ, ხელფასებს ამცირებენო....

**— ახლა ეგ უნდა მეკითხა სწორედ. რას ითვალისწინებს თქვენი ტესტირება? იმ მემანქანეს, ვინც ვერ გაივლის ტესტირებას, 200 ლარს ჩამოაჭრით ხელფასიდან და ისევ მემანქანედ დასვამთ?**

– არა, ესეც ტყუილია. ამგვარი ტესტირება ყოველწლიურად ხდება ჩვენთან, ადრეც ხდებოდა და რატომ იუცხოეს ახლა? ვინც ტესტირებისას მაღალ ქულებს მიიღებს, მას ხელფასი გაეზრდება, ვინც – დაბალს, მას ხელფასი შეუნარჩუნდება. უბრალოდ, მოხდება რანგირება და რკინიგზის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ყველაზე რთულ მარშრუტებს უფრო მაღალი კვალიფიკაციის მემანქანეებს ვანდობთ, ნაკლებ უსაფრთხოს კი – შედარებით დაბალი კვალიფიკაციისას, ოღონდ მანამდე არსებული ხელფასის შენარჩუნებით. ეს ლოგიკური და სამართლიანია. რაღაც შემცირებებზეც იყო ლაპარაკი და ესეც აბსურდია. არავის გაშვებას არ ვაპირებთ, მით უფრო, მემანქანეებისას. ამ სპეციალობის ხალხის მომზადებას წლები სჭირდება და მაგ ხალხს გავუშვებთ?

**— გიორგაძე აცხადებს, ის 7 მოთხოვნა, რომელზეც შევჯერდით, არ იყო მნიშვნელოვანი, იქ მთავარი სწორედ ის 2 იყო, რომელთაც დღესაც ვითხოვთ, ხელფასები და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასო. მთავარ მოთხოვნებზე შეთანხმება არც მაშინ მიგვიღწევია „საქართველოს რკინიგზის“ მესვეურებთანო.**

– ენას ძვალი არ აქვს და ყველაფერს იტყვიან. რა გამოდის? მაშინ 7 მოთხოვნა არ იყო მთავარი, ნაკლებმნიშვნელოვანი იყო და 2 მთავარიო? მაშინ 7 რატომ შემოიტანეს, ის 2 შემოეტანათ, რომელზეც ვერ მოხდა შეთანხმება. ცხადია, ტყუილია ესეც.

**მოკლედ, აქ საქმე ისეა, თითქოს ორივე მხარე მართალია ცალ-ცალკე. „მომჩივანი მოლას ორივე მართალი ეგონაო“. ამ ხალხური სიბრძნის უტყუარობას კიდევ ერთხელ ადასტურებს ორივე მხარის პოზიცია. თუმცა, „საქართველოს რკინიგზაში“ რომ პრობლემებია, ამის შესახებ ხმები ამ გაფიცვამდეც ვრცელდებოდა და ჩვენ ამ საკითხს ჩავეძიებით, დეტალურად შევისწავლით და მკითხველს რეალურ ინფორმაციას მივაწვდით, რა ხდება „საქართველოს რკინიგზაში“.**

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ივანიშვილის ხელისუფლებას დამბლა დაეცა“



საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ნუგზარ წიკლაურის თქმით, მთავრობა პარალელურ რეალობაში ცხოვრობს და ქვეყანაში შექმნილი კრიზისის ფონზე ცდილობს, თავი მოიწონოს.

„მეცხრე ბლოკი გამოირთო, ლარის კურსი დაეცა, რკინიგზა არის გაფიცული, ფასები პროდუქტზე ყოველდღიურად დრამატულად იზრდება, კრიმინალი მატულობს, კმაყოფილი მთავრობა კი ამ დროს ზრდის ფანტასტიკურ პრემიებსა და დანამატებს. არავის ეგონოს, რომ ეს არის შევარდნაძის საქართველოს აღწერა. ეს არის ივანიშვილის საქართველო, ისეთივე უუნარო, როგორიც იყო შევარდნაძის საქართველო. მისი მმართველობის მესამე, როგორც თვითონ იტყოდა, კარგ წელიწადს, ივანიშვილის ხელისუფლებას დამბლა დაეცა. მთავრობის არაეფექტურობა ყველა მიმართულებით თვალსაჩინოა“, – განაცხადა წიკლაურმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვლადიმერ პუტინის იზოლირება არ ღირს“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა გერმანულ გამოცემა „დოიჩე ველესთან“ ინტერვიუში რუსეთის პოლიტიკაზე ისაუბარა. ის მიიჩნევს, რომ დასავლეთმა კრემლთან ურთიერთობა უნდა შეინარჩუნოს, მაგრამ ამის მიუხედავად, უკრაინის საკითხთან დაკავშირებით, პრინციპული პოზიცია უნდა ჰქონდეს. ამის შესახებ დავით უსუფაშვილმა განაცხადა.

„ვლადიმირ პუტინის იზოლირება არ ღირს, მაგრამ დასავლეთმა პრინციპული პოზიცია უნდა გამოამჟღავნოს რუსეთის ქმედებასთან დაკავშირებით უკრაინასთან მიმართებით“, – აღნიშნავს უსუფაშვილი.

„უკრაინის კრიზისი, პირველ რიგში მხოლოდ საქართველოსთვის კი არ არის გაკვეთილი, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენ ჩვენი გაკვეთილი 2008 წლის აგვისტოში მივიღეთ, როდესაც რუსეთი ძალიან ღიად და ცინიკურად აცხადებდა საკუთარ მიზნებზე, არ მისცეს უფლება საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყანას თავად აირჩიოს განვითარების გზა. ნათელი გახდა, რომ მოსკოვი ამ ქვეყნების გაწევრიანებას ნატოსა და ევროკავშირში, ხელს შეუშლის. ეს, სამწუხაროდ, არ იქნა შესაბამისად აღქმული დასავლეთისგან, რომელიც, როგორც ჩანს, იმედოვნებდა, რომ რუსეთი საკუთარი ნებით ან ძალით დასთანხმდებოდა მისი მეზობლების ევროპულ არჩევანს“, – დასძინა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# „ახალგაზრდა ადვოკატები" ეკონომიკურ ამნისტიას ითხოვენ

## რა ამნისტია, ვინც გადასახადს იხდიდა, იმათ რაღა დააშავეს?

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" მთავრობასა და პარლამენტს სარეკომენდაციო წინადადებით მიმართავს, რომ ობიექტურად შეფასდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და განმეორებით იქნას მიღებული კანონი „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზების შესახებ", რომელიც მეწარმე სუბიექტებს დაფარული გადასახადებისგან განთავისუფლებას და არადეკლარირებული ფინანსებისა და ქონების ლეგალიზების საშუალებას მისცემს. ორგანიზაციის განცხადებით, ამნისტიის გამოცხადება სახელმწიფომ სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში უნდა მოიაზროს, ვინაიდან 2004-2012 წლების პერიოდში ადგილი ჰქონდა თავისუფალ ბიზნესსაქმიანობაში ღია თუ ფარულ ჩარევას.

**რას მოითხოვენ კონკრეტულად ამ ინიციატივით ახალგაზრდა ადვოკატები? რა სახის ეკონომიკურ დანაშაულს უნდა შეეხოს ამნისტია?**

**„ალიას" „ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელი, არჩილ კაიკაციშვილი ესაუბრა:**

**— რატომ გაგიჩნდათ ასეთი ინიციატივის იდეა?**

– ამნისტიის ეს ფორმა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აპრობირებულია, რათა მეწარმის ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე უფრო გამჭვირვალე გახდეს. ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ 2012 წლამდე ადგილი ჰქონდა თავისუფალ ბიზნესსაქმიანობაში ჩარევას. ხოლო ის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ბიზნესის მიმართ წნეხს მიუთითებდა, ტოვებს დიდ ალბათობას, რომ კონკრეტული ბიზნესსუბიექტი მალავდა გადასახადებს, ქონებას სრულად არ აჩენდა იმის შიშით, რომ ვიღაცები წილში არ ჩაჯდომოდნენ. წინა ხელისუფლების მმართველობის სტილი იყო ძალმომრეობის გამოხატულება, განსაკუთრებით ბიზნესის მიმართ.

**— ბევრს მოექცნენ უსამართლოდ წინა ხელისუფლების პირობებში, ეს ასეა, მაგრამ იყო ბევრი ისეთი მეწარმეც, რომლებიც განგებ მალავდნენ გადასახადებს და დამნაშავეს რატომ უნდა გამოვუცხადოთ ამნისტია?**

– ლეგიტიმური კითხვაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ, როცა ვსაუბრობთ ამ ხელისუფლების მიერ ამნისტიის გამოცხადებაზე, უნდა გავითვალისწინოთ პრაქტიკა იმ შესაძლებლობის, რომელიც საქართველოში არსებობდა. 2004 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ასეთი კანონი ერთჯერადად და აღნიშნული კანონის საფუძველზე სახელმწიფო იმედოვნებდა, რომ 2 მილიარდი ლარის ქონების დეკლარირება მოხდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და დეკლარირებული იქნა 11 მილიონზე ცოტა მეტი ლარი, ანუ სრული ქონების დეკლარირება არ მოხდა, ეს იმიტომ, რომ შიში არსებობდა, რომელიც შემდგომ წლებში გამართლდა.

**— რა შიშს გულისხმობთ?**

– იმას, რომ წინა ხელისუფლების პირობებში ბიზნესი სხვადასხვა ჯგუფებს ხელში ეჭირათ და ამ პროცესში ბევრი ადამიანი აღმოჩნდა რეალური მსხვერპლი უკანონობის. მე ვგულისხმობ ამ წნეხისგან თავის დაღწევის მიზნით შემოსავლების დამალვას. მათ ეშინოდათ წილში ჩაჯდომის, რეკეტის, ბიზნესის წართმევის. ამიტომ ბიზნესმენს ერჩივნა, კანონი დაერღვია, არ მოეხდინა ფულის დეკლარირება, რომ შეენარჩუნებინა ბიზნესი. ჩვენი ინიციატივა ითვალისწინებს ამ პირების ამნისტიას მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი წახალისდნენ და ბიზნესი აკეთონ. ბიზნესი კვლავ ფრთხილობს, სახელმწიფო თუ იქნება დამსჯელის როლში, ის დაკარგავს სტიმულს. ამ ინიციატივით ბიზნესს მეტი მოტივაცია გაუჩნდება და ნდობაც გაჩნდება.

**— თუ წინა ამნისტიამ შედეგი არ მოიტანა, რატომ გგონიათ, რომ ახლა გაამართლებს?**

– არ მოიტანა შედეგი იმიტომ, რომ თავად სახელმწიფო იყო ჩასაფრებულ მდგომარეობაში. თუკი გამოჩნდებოდა ამ ამნისტიის შემდეგ ბიზნესის რეალური შემოსავლები, ამ ბიზნესსუბიექტებს მომავალში დააატერორებდნენ. ახლა მიდგომა შეიცვალა, ბიზნესგარემო შედარებით თავისუფალია.

**— რატომ 2012 წლის დეკემბრამდე და არა 2014 წლის ბოლომდე? ფიქრობთ, ახლა აღარ მალავენ შემოსავლებს მსგავსი შიშების გამო?**

– თავად ეკონომიკური დანაშაულის გახსნის პროცესი ყველგან, მთელ მსოფლიოში ურთულესია და მოწოდებული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ დღემდე ამ დანაშაულს ფარული მოქმედებები ახასიათებს. ჩვენი რეკომენდაციით გვინდა ხელისუფლებას მოვახერხებინოთ, რომ ის, რაც ადრე იყო, იმ ადამიანებს შეეხოს. ეს ეხება იმ პერიოდს, როცა წინა ხელისუფლება იყო და ის განსაზღვრავდა იმპერატიულ ნორმატიულ აქტებს. ეს აქტები ძალადობას ახალისებდა, მეწარმე თავისუფალ განვითარებას ვერ უზრუნველყოფდა. თუ ჩვენ ამას 2014 წლის ბოლომდე განვახორციელებთ, ეს შესაძლოა, იყოს წამახალისებელი სხვა მეწარმეებისთვის და დადებითი შედეგის ნაცვლად მივიღებთ უკუშედეგს. წინასწარ დაანონსებული ამნისტია წაახალისებს პოტენციურ სამართალდამრღვევს.

**— პარლამენტთან წინასწარი საუბრები გქონდათ ინიციატივის შესახებ?**

– არა, გავახმოვანეთ და ამის შემდეგ გადავუგზავნეთ პარლამენტს.

**— კანონპროექტის სახით ხომ არ აპირებთ შესთავაზოთ მათ?**

– ამას საკანონმდებლო ინიციატივის სახე ახლა ვერ მიეცემა, რადგან მან ჯერ პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს. ძალიან მაინტერესებს ექსპერტების მოსაზრებებიც. ჩვენ გვაქვს უკვე მოდელი და შეგვიძლია მისი წარდგენა. მთავარია, არსებობდეს პოლიტიკური ნება, რომ მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. თუ გვინდა ბიზნესის განთავისუფლება და პრემიერის მოწოდება ბიზნესმენებისადმი, გამოიჩინონ მეტი აქტიურობა, ამ სიტუაციაში სიტყვებზე მეტად საქმე სჭირდებათ მათ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### აკადემიკოსის სახლი გაქურდეს



ქალაქ ოზურგეთის გარეუბანში, ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელის, აკადემიკოს ვოვა ცანავას საცხოვრებელი სახლი გაქურდეს. ქურდებმა მისი კუთვნილი ძვირადღირებული სანადირო თოფები წაიღეს. მათი ვინაობა ამ დრომდე უცნობია. გავრცელებული ინფორმაციით, სანადირო თოფებთან ერთად წაღებულია მისი პირადი კომპიუტერიც.

შს სამინისტრო მომხდარს ადასტურებს, უწყების ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება 177-ე მუხლით. (ნიუპოსტი)

### გასაუბრებიდან გამოსული მერიის თანამშრომელი მოულოდნელად გარდაიცვალა



ქუთაისის მერიის თანამშრომელი მერაბ ჭეიშვილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან გასაუბრებაზე გადიოდა, რომელიც მოულოდნელად ცუდად გახდა და გარდაიცვალა.

ადგილზე მისულ სასწრაფო სამედიცნო სამსახურის ბრიგადას პიროვნება უკვე გარდაცვლილი დახვდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „შსს-ს უნდა ჰქონდეს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება"



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხს ეხმაურება და აცხადებს, რომ აუცილებელია შსს-ს ჰქონდეს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება.

წულუკიანის აზრით, აგრეთვე, უნდა არსებობდეს შსს-ს მაკონტროლებელი ორგანო, ეს უნდა იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.

„წვდომა კანონის ფარგლებში ამ მონაცემებზე უნდა ჰქონდეს შსს-ს, რომელიც, არ უნდა დაგვავიწყდეს, არის ორგანო, რომელიც ებრძვის დანაშაულს", – განაცხადა წულუკიანმა.

მინისტრის თქმით, მისთვის უცნობია, რომელ კანონპროექტშია მისი პოზიცია უკეთ ასახული. თუმცა ის სწორედ ასეთ კანონპროექტს დაუჭერს მხარს. (ნიუპოსტი)

### „ბიუჯეტის ზეგავლენა ლარის კურსზე არის ნულის ტოლი"



საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე ბიუჯეტს არანაირი გავლენა არ აქვს. მინისტრის თქმით, საქართველოში მონეტარული პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანო არის ეროვნული ბანკი.

ამასთანავე, ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ, თუკი ბიუჯეტი ჯერ გაუხარჯავია, ის ლარის გაუფასურებაზე ვერანაირ გავლენას ვერ იქონიებდა.

„ბიუჯეტი სრულდება გეგმის მიხედვით, არანაირ ზედმეტ ხარჯებს ადგილი არ აქვს. შესაბამისად, ბიუჯეტის ზეგავლენა ლარის კურსზე არის ნულის ტოლი", – აცხადებს ხადური. (ნიუპოსტი)

### „ნაციონალური მოძრაობის" სახე არ იკარგება"

„თავისუფალი დემოკრატების" წევრი ვიქტორ დოლიძე მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობის" მიერ შემუშავებული რეზოლუციის განხილვისას ატეხილი ხმაური, ოპოზიციის ჩვეული აჟიოტაჟია.

„ნაციონალური მოძრაობის" სახე არ იკარგება. ისინი გადასული არიან მხოლოდ აჟიოტაჟურ რეჟიმში. ეს ძალიან ცუდია. მე ვფიქრობ, დოკუმენტის შინაარსზე. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მივიღოთ ეს დოკუმენტი და რაც ყველაზე მთავარია, უნდა მივიღოთ დოკუმენტის კონსოლიდირებული ვარიანტი". – განაცხადა დოლიძემ. (ნიუპოსტი)



# რა დაპირისპირებები მოხდა ადამიანის უფლებათა კომიტეტში არასამთავრობოებთან?

**რით აღიზიანებდნენ არასამთავრობოების წარმომადგენლები ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტის მომხრეებს? რის მოსმენა არ უნდოდათ და ვინ აქტიურობდა ყველაზე მეტად არასამთავრობოებიდან?**

**„ალიას“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– სესიაზე განხილვამდე, 25 ნოემბერს ვესწრებოდით პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის სხდომას, სადაც მიმდინარეობდა ე.წ. გასაღების საკითხის განხილვა. მთელ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ განხილვაზე იყვნენ, აქვთ შემდეგი პოზიცია, ადრე ხომ უსმენდნენო და ამიტომ ახლა არ ვენდობით შსს-ო. ადრე იარაღითაც ხოცავდა პოლიცია უდანაშაულო ხალხს ქუჩაში და ახლა რა ვქნათ, ავდგეთ და იარაღიც წავართვათ შსს-ს? რასაც სხდომაზე ვუყურე, ეს იყო სრული ნონსენსი. ვგულისხმობ ელისო ჩაფიძის განცხადებას, რომ თურმე ესაა პოლიციაში მომზადებული კანონი და ამიტომ არ დაუჭერს მხარს. შსს, ცხადია, ჩართულია ამ კანონის მომზადების საქმეში და ვინ თქვა, რომ შსს-ს არავინ არ ჰკითხა აზრი? სხვათა შორის, ჩაფიძის პოლიტიკური კარიერა, მისი პირადი ცხოვრებაააწყო ამ მთავრობამ და მისი მხრიდან ასეთი პოზიცია რომ ემიჯნება მთავრობის აზრს და რომ თურმე შსს-ში მომზადებულ კანონს არ დაუჭერს მხარს, არ არის გაუგებარი? მოკლედ, დადგა სურათი, რომ, ფაქტობრივად, „ფორუმი“, კოალიციაში არსებული დეპუტატები, რომლებსაც მანამდე არავითარი პოლიტიკური კარიერა არ ჰქონდათ და, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ პარლამენტში, დღეს გამოდიან და გამოხატავენ პროტესტს და ამით ჩანს, რომ კოალიცია და უმრავლესობა, ფაქტობრივად, ჩამოიშალა. აქამდე მარტო „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებზე“ რომ იყო გაკეთებული აქცენტი, როგორც გამოჩნდა, მარტო ეს ხალხი არ ყოფილა გასვლის მოსურნე. აღმოჩნდა, რომ კოალიციაში არის ხალხი, რომლებიც ფიქრობენ და მომენტს ელოდებიან, რომ კოალიცია დატოვონ და ამიტომ, ჩემი აზრით, საჭიროა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. გამოჩნდა, რომ ეს ადამიანები არ აზროვნებენ სახელმწიფოებრივად და განდიდების მანიით არიან შეპყრობილები.

მაინტერესებს, ან „თავისუფალი დემოკრატები“ აქამდე რატომ არ იღებდნენ ხმას იგივე „გასაღებთან“ დაკავშირებით? სხვათა შორის, სხდომის დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც რომ არ ამოუღიათ ხმა, ამ 9 წლის მანძილზე რაც ხდებოდა, მაინტერესებს, ახლა რატომ გაიგიჟეს თავები, ამ სოროსის ფონდს ერთი თეთრი რომ არ დაუდია ხალხის მოძრაობებში, ახლა რა ხდება? საინტერესოა, რომ ამ სხდომას ესწრებოდა სოროსის ფონდის ყოფილი წარმომადგენელი თამარ ქალდანი, რომელიც ინფორმაციის დაცვის ინსპექტორია, არც ვაციე, არც ვაცხელე, და მას ვუთხარი, სოროსის ფონდში რომ იყავით, რატომ გროშიც არ მიეცით იმ ხალხს, სააკაშვილის წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ-მეთქი.

**— რა გიპასუხათ?**

– რა აქვს საპასუხო? დღეს რომ გამოდის და საუბრობს, თურმე ძალიან დიდი ტვირთი იქნება გასაღების საკითხი მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვისო, თუკი ეს დიდი ტვირთი იქნება, წავიდეს და მის ადგილას სხვა დაინიშნება. ვერ გავიგე, მისთვის დიდი ტვირთი იქნება და ამიტომ ქვეყნის უშიშროებასა და უსაფრთხოებას საფრთხე უნდა შეექმნას და თან თანამდებობაზე დარჩეს? ამ არასამთავრობოებს რომ დაუხვევიათ და გაიძახიან, შსს-ს არ ვენდობითო, გასაგებია, რომ ადრე პოლიციური ქვეყანა იყო, მაგრამ დღეს ხომ შეცვლილია სიტუაცია? მაგრამ, რასაც ვუყურებ, ხდება დისკრედიტაცია ყველა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციისა და პოლიციის მიმართაც ასეთი აგორებული კამპანია მიზნად ისახავს, რომ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიადგეს ზიანი, რადგანაც ეროვნულ უსაფრთხოებაზე ზრუნავს სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრო და ეს ხალხი ვერ გრძნობს, რომ, რაც ბოლო დროს მოხდა საქართველოში იგივე რელიგიურ ნიადაგზე, იმ მეჩეთის ამბებში სწორედაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ და იმისთვის, რომ ის სამსახურები გამოვლენილ იქნან, ამისთვის საჭიროა, გასაღები იყოს სწორედ შსს-ს ხელში.

**— რომელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აქტიურობდა განხილვაზე?**

– ლომჯარია! გამოვიდა და თქვა, აიო, თქვენ რომ გაქვთ ეჭვი ამ ოპერატორებზეო, ახლაც ხომ შეუძლიათ სახელმწიფო საიდუმლოება გაიტანონო? ამასთან დაკავშირებით მას გავახსენე ერთი მომენტი, რომ ინტერნეტში დაიდო სააკაშვილის საუბარი მერაბიშვილთან.

**— რომელ საუბარს გულისხმობთ?**

– მერაბიშვილი და სააკაშვილი რომ საუბრობენ დაკავებულ რეპორტიორებზე, ერთ-ერთზე რომ ამბობენ, მაგის ცოლს გმირობა უნდაო. სააკაშვილის საუბარი გავიდა და ესენი რეებს გვეუბნებიან? რა, სააკაშვილი საკუთარ საუბარს ატვირთავდა ინტერნეტით? არ არის ეჭვი, რომ ერთ-ერთმა მობილურმა ოპერატორმა გამოაგდო ეს კადრები? აი, ეს ვუთხარი ლომჯარიას, რომ სამერმისოდაც რომ არ მოხდეს რამე მსგავსი, რადგანაც პოლიტიკა, მოგეხსენებათ, ბინძურია, არ უნდა ვიყოთ ფრთხილად? აგერ თურქეთის საგარეო მინისტრი ჩამოვიდა და გვითხრა, ოსმალეთის იმპერია უნდა აღდგესო და ამაში აჭარას ვხედავთო და მეტი რა უნდა გვითხრან? აგერ რუსეთი გვყავს მეზობლად, ამხელა ტერიტორიები აქვთ წაღებული და ამ არასამთავრობოებს რომ ვუსმინე, გამოდის, რომ ესენი ჩვენს ქვეყანას ადარებენ იტალიას, საფრანგეთსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებს, ამ დროს ჩვენ ვართ ღია ოკუპაციის ქვეშ, გარშემო ისეთი ქვეყნებით ვართ გარშემორტყმული, დღეს რომ ჩუმად არიან და ხვალ შეიძლება, პოტენციურ მტრად იქცნენ და არ უნდა ვიზრუნოთ უსაფრთხოებაზე? ანუ, რასაც დავაკვირდი, არასახელმწიფოებრივი აზროვნებაა ხალხში. როცა ტოტალური მოსმენები იყო ქვეყანაში, რატომ მაშინ არ აწუხებდათ ეს საკითხი? მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამით მათ სურთ, დისკრედიტაცია მოხდეს შსს-სი.

**— თქვენს მოსაზრებას ვინ ემხრობოდა?**

– მერაბ ტურავა, ცნობილი პროფესორი და ანალიტიკური აზროვნების მქონე ადამიანი, გამოვიდა სხდომაზე და თქვა, რომ ეს მობილური ოპერატორები უნდა დარჩეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ და ტურავაზე მეტი გამოცდილება და განათლება აქვს ვახუშტი მენაბდეს? მენაბდე რომ აცხადებს, თურმე ადამიანის უფლებები ირღვევა, თუ გასაღები სამინისტროში დარჩება და რატომ უნდა ზრუნავდეს უსაფრთხოებაზე სამინისტროო? აბა, ვინ უნდა ზრუნავდეს? განხილვაზე ისეთი რამ მოვისმინე, პირი ღია დამრჩა: გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოსმენა რატომ უნდა ხდებოდეს ქვეყანაშიო. ანუ, როცა ქვეყანაში ხდება დანაშაული და გვინდა, სწრაფად მოხდეს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებები, ჩხრეკა, მოსმენა, ამიტომ ამისთვის უნდა დაველოდო, სანამ სასამართლო არ მომცემს უფლებას და ამასობაში დამთავრდება ყველაფერი, წავა მატარებელი, დანაშაული გაუხსნელი დარჩება და ეს ამ ადამიანებს რატომ არ ესმით, გაუგებარია.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ახალი ეპოქა გავხსენით ევროკავშირთან ურთიერთობაში“



პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმზე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაზე ისაუბრა:

„ჩვენ თვისებრივად ახალი ეპოქა გავხსენით ევროკავშირთან ურთიერთობაში. მინდა მადლობა გადავუხადო ლატვიის პარლამენტს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. ლატვიამ ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ლატვიელი ხალხი ჩვენი ერთგული მოკავშირეა. ჩვენ წამოვიწყეთ საკვანძო რეფორმები პოლიტიკის, ეკონომიკისა და მართლმსაჯულების სფეროებში. ჩვენ გვაქვს ძალიან მკაცრად გაწერილი დრო და ამ იმპლემენტაციის პროცესს პირადად მე ვაკვირდები. ვხელმძღვანელობ კომისიას, რომელიც მონიტორინგს უწევს იმპლემენტაციის პროცესს.

რამდენიმე დღის წინ ვიყავი ვიზიტით ბრიუსელში და შეხვედრების დროს ევროკავშირისა და ნატოს ხელმძღვანელებმა ღიად დააფიქსირეს, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა ამ მოკლე დროში და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ევროპასთან დაახლოების პროცესში. მათ შორის აღინიშნა საქართველოს წინსვლა გამჭვირვალე და თავისუფალი ეკონომიკური გარემოს კუთხით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მესტიის საავადმყოფო პარალიზებულია



მესტიის საავადმყოფოს თანამშრომლები გაიფიცნენ. სამედიცინო დაწესებულების მომსახურე პერსონალი კომპანია „აი სი ჯგუფისგან“ ყოველთვიური ანაზღაურების მომატებასა და პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ. თანამშრომლების განცხადებით, ადგილობრივი ექიმებისთვის დანიშნული მცირე ანაზღაურების ფონზე, მოწვეული ექიმების ანაზღაურება, ძალიან მაღალია. მათივე განმარტებით, არ არის გამოყოფილი გათბობისთვის შესაბამისი ფულადი სახსრები.

საავადმყოფო პარალიზებულია, ექიმები სადაზღვევო კომპანიისგან განმარტებას ელიან და აცხადებენ, რომ, თუ კომპანია მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, სამუშაო პროცესი არ განახლდება. (ნიუპოსტი)



## „აფხაზეთის რკინიგზის აღდგენაზე განხილვა არ ყოფილა“

ევროატლანტიკურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრის დავით ბაქრაძის თქმით, რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთის რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით არანაირი განხილვა არ ყოფილა.

„უკვე გამოითქვა ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია რამდენიმე მიმართულებით. ჩემი მხრიდანაც დავადასტურებ იმას, რაც ჩემთვის ცნობილია, ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი განხილვა რუსეთსა და საქართველოს შორის არ ყოფილა“, – განაცხადა ბაქრაძემ. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## თეონა კონტრიძე: „ჩემი ილია“





„ჩემი ილია... ყველაზე მაგარი კაცი! გადამსკდარი ტვინით, უსვეტესი და უპროგრესულესი გენიოსი!“ – წერს თეონა კონტრიძე და ილია ჭავჭავაძეს სიტყვებს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ია ფარულავასა და ნიკა გვარამიას „შეხლა-შემოხლა“





ია ფარულავასა და ნიკა გვარამიას შეხლა-შემოხლაზე, რომელიც პროექტ „ნიჭიერში“ მოხდა, მსახიობმა ერთ-ერთ ინტერვიუში ისაუბრა:

– ერთი ცხადია, ნიკას ყოველთვის ხელი უსწრებს წინ. კონკურსანტის სცენაზე გამოსვლამდე ერთი წუთიც არ არის გასული, რომ იქსის ღილაკს აჭერს ხელს. ეს ძალიან მაღიზიანებს. ამის გამო მე და გვარამიას შეხლა-შემოხლაც კი გვქონდა. ამ მხრივ, კეთილია ჭოლა, რაც არ უნდა ცუდი ნომერი იყოს, არ აპროტესტებს. ხელოვანი კაცია, სხვის შრომას აფასებს და ნომერს ბოლომდე უყურებს.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## 18 წლის ირაკლი ალასანია მამის ამპლუაში



ნათია ფანჯიკიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ირაკლი ალასანიას ახალგაზრდობის ფოტოს აქვეყნებს საინტერესო ისტორიით.

– ქორწილი არ გვქონდა – მამებმა, თბილისის ომით შოკირებულებმა, ვერ ვიზეიმებთო. ბნელოდა, ციოდა... მაგრამ ნიკო გვყავდა და ჩვენ სამს ერთმანეთი გვყოფნიდა. მერე ომში წავიდნენ. ირაკლი (18 წლის) ჭუბერის გზით დაბრუნდა. მამამისი დახვრიტეს და საერთო საფლავში დამარხეს 27 მისნაირ შეუპოვართან ერთად. შემდეგი 4 წელი ირაკლი ეძებს ცხედარს, ატყუებენ, გატანთო, ცინკის კუბოთი დადის აფხაზეთში და მოჰყავს სხვისი მიცვალებული. მიჰყავს ოჯახებში და იქ მას სიხარულით ხვდებიან, უხარიათ, რომ საფლავი ექნებათ.

მერე ვიღაც ჩნდება, ხან დაღესტნიდან, ხან აქვე და ოჯახებიდან ფულს კრეფენ, უკანასკნელ კაპიკებს, თქვენი მამა, ძმა, შვილი ცოცხალია და გამოსასყიდია საჭიროო. ტანსაცმელსაც ვატანთ. ირაკლი სიგარეტსაც უგზავნის... ისევ ტყუილია.

ეკას ვაჩენთ, ახალი ეტაპის დაწყება მინდა, უფრო ბედნიერის.

ირაკლი მეუბნება, რომ მიდის სამხედრო საჰაერო ბაზაზე არიზონაში ერთი წლით, ოფიცრების სკოლაში, რომელთაც უკიდურეს პირობებში, რაზმის შეკვრა და საომარი სპეცოპერაციის ჩატარება შეუძლიათ. 23 წლისაა და შურისძიებაზე ოცნებობს. სანამ იქაა, აქ კვდება მამაჩემი. გვშია, გვცივა.

დაბრუნების შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში იწყებს მუშაობას.

მალე ვაშინგტონში მივდივართ. ამ დროს პანკისს ბომბავენ, რუსები ისევ გვიწვევენ საომრად. ირაკლის სახელდახელოდ ნიშნავენ უშიშროების მინისტრად, რომ პროვოკაცია არიდებული იყოს. კაბინეტში დღე არ გაუტარებია, ცხოვრობს ტყეში. ორჯერ შეუკვეთეს მისი აფეთქება ქათველებმა ჩეჩნებს. მათაც ვერ გაიმეტეს. კაცები ერთმანეთს პატივს სცემენ.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ირაკლის აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ნიშნავენ. პირველივე ნაბიჯი – მიდის სოხუმში. პირველი და უკანასკნელი ამ რანგის ოფიციალური პირი, ვინც ჩავიდა. შურისძიების გრძნობა გაქრა. სრულიად კავკასიური ვაჟკაცობით ორივე მხარემ პატივი სცა ერთმანეთის ტკივილს და გაჩნდა ნდობა. დაიწყო ოფიციალური პირების მიმოსვლა, ჩამოვიდა შამბა თავისი დელეგაციით... ირაკლი უცებ გაეროში გაუშვეს. კი, იქაც ისევ საქართველოსთვის საბრძოლველად, თუმცა ცოცხალი და ნამდვილი პროცესი შეწყდა. დარჩა მხოლოდ ჟენევის ფორმატი. აფხაზებმა განაცხადეს, რომ ენდობიან მხოლოდ ირაკლის. სააკაშვილი იძულებული გახდა, მისთვის სპეციალური რწმუნებულის სტატუსი დაემატებინა და ირაკლი დაფრინავდა ნიუ-იორკიდან ჟენევაში. მერე იყო 2008. რუსეთმა გამოაცხადა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ირაკლი გადადგა გაეროს მისიის ელჩის თანამდებობიდან.

მას მერე ამბები იცით.

მავთულხლართებიც უფრო და უფრო ახლოს მოვიდა. უაზრო მსხვერპლი არ ღირს. შედეგი იგივე დადგება, რაც 2008-ში, ოღონდ მსხვერპლით. ადამიანები ძვირად უღირს.

იწყებს იარაღის მოთხოვნას, რომელსაც თავდაცვითი ფუნქცია აქვს და იმდენად სოლიდურია, რომ თავში წამორტყმის წინ დაფიქრება მოუწევს ნებისმიერ მტერს. ეს უკვე ბევრი რამის გარანტიაა.

ძალიან მოკლედ, ძალიან მშრალად, მაგრამ რატომ ვყვები ამას? – იმის პასუხად მხოლოდ, აზრის განმტკიცებას რომ ცდილობენ, რომ ვიღაცას თანამდებობა ისე უბრალოდ აჩუქეს და... ვიღაცებს აჩუქეს, კი... ბიოგრაფიის, საკუთარი გზისა და იდეის გარეშე. მათ, ალბათ, მეტად მართებთ უპირობო მორჩილება. რაც უფრო მეტად აჩუქეს, მით უფრო მეტად. მე პატივს ვცემ ირაკლის მთელი შეგნებული ცხოვრების უწყვეტ თავგადასავალს. რა მერჩივნა, ეგ სხვა საქმეა...

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ოთო ნემსაძე – ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, არც მე დავრჩები ამ ქვეყანაში



მომღერალ ოთო ნემსაძეს საქართველოში ახალმოყვანილი ცოლის დასაქმება გაუჭირდა. როგორც თათა და ოთო ამბობენ, ყველა სამსახურში რუსული ენის ცოდნას ითხოვენ.

თათა ბავშვობიდან ამერიკაში ცხოვრობდა და სამხატვრო აკადემიაც ამერიკაში დაამთავრა, პარალელურად სტომატოლოგიურ კლინიკაში მუშაობდა. ცოტა ხანი გორშიც იმუშავა, ახლა თბილისში ეძებს სამსახურს.

ოთო: რატომღაც ძალიან გაუჭირდა თათას საქართველოში სამსახურის შოვნა. რატომღაც ახალი ტენდენციაა, რომ რუსული ენა უნდა იცოდე. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ დაიწყებს მუშაობას, რადგან არ მინდა სახლში იჯდეს.

თათა: ვაკანსიების საიტზე რომ ვაკანსიას ვნახულობ და ინგლისურს ითხოვენ, მივდივარ და რუსულ ენას მთხოვენ. მე რომ მიჩვეული ვარ იქაურ რეჟიმს, რომ შენ თვითონ უნდა გააკეთო თუ რამის გაკეთება გინდა, რატომ უნდა დამჭირდეს აქ, რომ ოთოს სახელი ვახსენო და ვიღაცის ნაცნობობით დავიწყო სამსახური? ძალიან ბევრს იცნობს ოთო და ვიშოვნიდი რაღაცას, მაგრამ ჩემით მინდა გავაკეთო. შეიძლება ძალიან დიდი რაღაცა მინდა, მაგრამ მინდა, რომ ასე ხდებოდეს. ამერიკაში წასვლაზე ჯერ არ გვიფიქრია. აქ გვინდა, რომ ბევრი რაღაც გავაკეთოთ. მინდა, რომ კარგი საქმე გავაკეთო და მარტო იმისთვის არ ვიმუშაო, რომ თვის ბოლოს ხელფასი ავიღო.

ოთო: ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, არც მე დავრჩები ამ ქვეყანაში და არც კიდევ ბევრი სხვა. არ ვთვლი ბეჩავად თავს და მიმაჩნია, რომ ჩემი მომავალი ჩემს ხელშია და არ მინდა, რომ ის ქვეყანა, რომელიც ჩემი სიცოცხლის ფასადაც კი მიყვარს, ასეთ დღეში იყოს.

თათა: ახლა ოთოს სიტყვებს გავიმეორებ: როდესაც ხელოვან ადამიანს იმაზე უწევს ფიქრი, დღეს ცოლს რა აჭამოს და ხვალ ბავშვს რა აჭამოს, ის თავის პროფესიაში ვეღარ ვითარდება და შესაბამისად, არც მაგარი მომღერალი და მუსიკოსი ეყოლება საქართველოს, მაგრამ გასაქანი არ არის.

**primetimenews.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## „ყელში ხართ უკვე...“ – ეკა კვალიაშვილი



ხათო: ვერ გავიგე ამ ქალს ფული სამკურნალოდ შეუგროვეს თუ ნაოჭების გასასწორებლად. რა დღეშია.

უმადური: მთავრობამ უკან უნდა გამოგართვას ის ფული, რითაც დაგაფინანსეს. რამდენი გაჭირვებულია, წამალს ვერ ყიდულობს და ამ ბებრუხანა პომადიანს ვერ უყურებ, რა უმადური გამოდგა და ტლიკინებს და მადლობას ითხოვს იქით?

უმადური-ს: ავად რომ არის იმას ნიშნავს რომ პირდაუბანელმა იაროს? რაო ნაცუკა, ეკას სიმართლე ვერ აიტანე? რომელი გყავთ ეკასნაირი მომღერალი?

ეკა კვალიაშვილი:

– ეს გახლავთ „რეიტინგის“ ინტერნეტ ჟურნალში ჩემს სტატუსზე გამოქვეყნებული კომენტარები.

იცით, ხალხო, რა მაინტერესებს, ავადმყოფობა შურდეს ადამიანს, პირველად გავიგე. ისე, რომ ამ პირებს, ვისაც ძალიან ადარდებს, რომ კარგად გამოვიყურები და მათ არ ვგავარ, სიხარულით ვჩუქნი ჩემს ავადმყოფობას, გულით და სულით, გადაგინაწილებთ, თორემ, მარტო ერთი, ვერ გაუძლებს და ცოდოა.

დაე, ყველას, ვისაც გშურთ, უსასყიდლოდ გქონდეთ და გადაინაწილეთ ჩემი ავადმყოფობა. აი, მაშინ გაიგებთ და მიხვდებით, როგორია ცუდად ყოფნა და რას ვგრძნობ მე. ამ წამიდან, მთლიანად თქვენ გჩუქნით ჩემს ავადმყოფობას, გასაგებად ვთქვი, უფლებას აღარავის მივცემ თავხედობის. ამიტომ ყველამ თავის ჩაბანძულ და საცოდავ არსებობას მიხედოს. რაც შეეხება მთავრობის ფულს, არ იდარდოთ, ის ფული ისევ მთავრობასთანაა, ჯერ არ გამომიყენებია. ახლა ვაპირებ, სრულიად უნდა გამოვჯანმრთელდე, ამიტომაც დამაფინანსეს. და არა იმიტომ, რომ ცუდად ვიყო.

ხო, მართლა, ქალო, ხათო ხარ თუ რაღაც, შურიანი რომ აღარ იქნები, არც შენ არ გექნება ნაოჭები. ისე, რომ, მე არც დამჭირვებია გასწორება, უბრალოდ არ მაქვს. ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მაინც გამოჩნდა და პასუხი გასცა ამ ჭიალუებს.

ვაი, თვენს პატრონს!!!

ყელში ხართ უკვე, პირდაპირ გეტყვით. მივმართავ ამათნაირებს, რა საქაჯეთად და საბანძეთად გადააქციეთ თბილისი. სახეზეა ფაქტი. ნუ გახვედით თავზე. ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი! მე გითხარით და დანარჩენი თქვენ იცით. მაგრამ უბრალოდ ინანებთ, ოოო, ძალიან ინანებთ“.

**reitingi.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ბექა გოჩიაშვილი – პირველად ვიგინები სახალხოდ!



მუსიკოსი ბექა გოჩიაშვილი სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს და ბოდიშს უხდის საზოგადოებას გინებისთვის.

– ვისაც აფხაზეთის ანექსიაზე შინაგანი პროტესტის გრძნობა მაინც არ გიჩნდებათ, თქვენი დედა მოვ...ან.

დიდი ბოდიშის მოხდით.

პ.ს.

(პირველად ვიგინები სახალხოდ!), – წერს ბექა გოჩიაშვილი.

**primetimenews.ge**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

## რას ნიშნავს „ცოცხალი გვამის სინდრომი“?



თურმე, ასეთი უცნაური, საოცარი და საშინელი უსიამოვნებაც შეიძლება შეემთხვეს ადამიანს და ცოცხალი გვამის სინდრომით დაავადდეს.

სინდრომის გამომწვევი მიზეზი თვითმკვლელობისკენ დაუცხრომელი მიდრეკილება და შეუჩერებელი დეპრესია ხდება.

აღნიშნული დიაგნოზის მქონე ადამიანები ჩივიან, რომ ყველაფერი დაკარგეს, მათ შორის, ქონება ან სხეული მთლიანად ან ნაწილობრივ. ისინი ფიქრობენ, რომ ცოცხლები აღარ არიან და მხოლოდ მათი ცხედარიღა არსებობს. ხშირ შემთხვევაში ეს აზრი იმდენად ძლიერია ხოლმე, რომ პაციენტმა შეიძლება ისიც კი თქვას, თითქოს გრძნობს, როგორც იხრწნება მისი სხეული, თითქოს გრძნობს დამპალი ხორცის სუნს და იმას, როგორ დასდიან ტანზე მატლები, როგორ ჭამენ ისინი შინაგან ორგანოებს.

ცოცხალი გვამის სინდრომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემთხვევა, რომელიც სხვადასხვა სამედიცინო ლიტერატურაშია ნახსენები, შოტლანდიაში დაფიქსირდა. რაც ყველაზე უცნაურია, პაციენტის განკურნება ექიმებმა დღემდე ვერ შეძლეს. ის ამტკიცებს, რომ დიდი ხნის წინ შიდსისგან გარდაიცვალა და ახლა საიქიოში ცხოვრობს, რომელსაც ჯოჯოხეთს უწოდებს. სინამდვილეში, მას არც შიდსი აქვს და არც რაიმე სხვა სერიოზული დაავადება, უბრალოდ, შოტლანდიელი ცოცხალი გვამის სინდრომის მსხვერპლია...

*iscience.ru*

## ბევრ ერში გარდაცვლილის სახელის ხსენება სასტიკად იკრძალება



სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო, კი ამბობენ, მაგრამ ზოგს იმდენად უცნაური ქუდი აქვს, ძალიან რთული იქნება მასში თავის შეყოფა. აბა, წარმოიდგინეთ, წასულების სადღეგრძელოს დროს ქართველს თავისი წინაპრებისა თუ ოჯახის წევრების სახელების ხსენებას რომ აუკრძალავენ...

აკრძალვა გარდაცვლილთა სახელების ხსენებაზე იქიდან გამომდინარეობს, რომ ბევრს სჯერა, ამით შესაძლოა, კონკრეტული ადამიანის სული ან მოჩვენება საიქიოდან სააქაოში გადმოვიდეს. ნამდვილი სახელის ხსენების ნაცვლად, ჩვეულებრივ, ნეიტრალურ მახასიათებელს ან რაიმე სხვა სახელს იგონებენ ხოლმე.

მაგალითად, სამხრეთ ამერიკელი ინდიელების, გუაჰიროს ტომის წარმომადგენელს, ვინც გარდაცვლილის სახელს ახსენებდა, სასიკვდილო განაჩენი არ ასცდებოდა. ავსტრალიელი აბორიგენების ზოგიერთ ტომშიც ეს ტაბუ იმდენად ძლიერია, რომ გარდაცვლილის სეხნიები იძულებულები არიან, სახელი შეიცვალონ.

საინტერესოა, რომ აბორიგენთა ტრადიციების პატივსაცემად, ბევრ ავსტრალიურ ფილმსა თუ გადაცემაში იყენებენ აკრძალვას იმის შესახებ, რომ მაყურებელმა შესაძლოა, ნახოს გარდაცვლილი ადამიანის გამოსახულება ან მისი ხმა გაიგონოს.

*factroom.ru*

## ფულის გულისთვის ჩადენილ მკვლელობას ყოველთვის ასეთი შედეგი მოჰყვება



1858 წელს პოკერის მოთამაშე რობერტ ფოლონი წაგებულმა პირდაპირ თამაშის დროს მოკლა, თავი კი იმით იმართლა, რომ ფოლონი შულერი იყო და 600 დოლარი მოტყუებით მოუგო.

როგორც ჩანს, განგსტერების სამყაროში პოკერის თამაშის დროს ადამიანის მოკვლა არც ისე დიდი უბედურება იყო და როცა მოკლულის გვამი ოთახიდან გაიტანეს, მისი ადგილი თავისუფალი დარჩა, არადა, პარტია დასამთავრებელი იყო.

აქეთ ეცნენ მოთამაშეები, იქით ეცნენ, მაგრამ „უბედურ ადგილას“ დაჯდომის სურვილი არავის აღმოჩნდა.

რა უნდა ექნათ აზარტული თამაშების ტრფიალებს? ადგნენ და მოთამაშე პირდაპირ ქუჩიდან შემოიყვანეს, რომელმაც მათი თავშეყრის ადგილს სრულიად შემთხვევით ჩაუარა – ეს იყო ახალგაზრდა ამერიკელი, რომელსაც სახელიც კი არავინ ჰკითხა, არათუ ის, ჰქონდა თუ არა თამაშის სურვილი.

მოკლედ, შემომატებული მოთამაშე მოკლულის ადგილზე დასვეს და თამაშის გასაგრძელებლად 600 დოლარიც მისცეს.

მკვლელობის ამბავი როგორღაც, თურმე, პოლიციელებმა შეიტყვეს და შემთხვევის ადგილზე იმ დროს მივიდნენ, როცა თამაშს იძულებით შემატებულ ახალგაზრდას 600 დოლარი უკვე 2200 დოლარად გადაექცია — მან ყველა მოწინააღმდეგეს მოუგო.

როცა სამართალდამცველები საქმეს გაეცნენ და ყველაფერი დაადგინეს, მკვლელებს რობერტ ფოლონის მოგებული 600 დოლარის მისი ყველაზე ახლო ნათესავისთვის გადაცემა აიძულეს, რომელიც სწორედ ის ახალგაზრდა აღმოჩნდა, თამაშში ძალით რომ ჩაითრიეს — რობერტ ფოლონი მამამისი ყოფილა, რომელიც მას 7 წლის განმავლობაში არ ენახა...

*scienceblog.ru*

## დრაკონის კუდი — ტბა თურქეთში, რომელსაც მხოლოდ უბედურება მოაქვს



დრაკონის ტბასთან დაკავშირებული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ოდესღაც მის სიახლოვეს სოფელი არსებობდა, სადაც ახალგაზრდა მწყემსი, სახელად ბოლჰონი ცხოვრობდა. ის ხშირად აძოვებდა ცხვრებს შორეულ მინდვრებზე და ერთ დღესაც გზაზე ეშმაკი შემოხვდა, რომელმაც მწყემსს მის მსახურად დადგომა უბრძანა. გაბედულმა ბოლჰონმა ჯოჯოხეთის მბრძანებელს უარი უთხრა, შედეგად კი ის მიიღო, რომ ლუციფერმა ცხვრებს საშინელი სენი შეჰყარა, მწყემსის მოკვლა კი მწვანე ქერცლიან დრაკონს უბრძანა.

მწყემს ბოლჰონს სხვა გზა არ ჰქონდა, ის დრაკონს შეება, სულ მალე თვალიც ამოუგდო, თუმცა ბრძოლის ველზე თავადაც დაეცა.

– დაჭრილი დრაკონი უძირო ტბაში ჩავიდა, სადაც ის დღემდე ბინადრობს, – ახლაც სჯერათ თურქეთის პროვინცია ბინგელის მკვიდრებს და წყალსაცავს შეძლებისდაგვარად ერიდებიან.

საინტერესოა, რომ ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არც ერთი დასახლება არ არსებობს, ოფიციალური მონაცემებით კი, ბოლო წლების განმავლობაში იქ დაახლოებით 300 ცხვარი და 13 მწყემსია დაკარგული...

*inworld.ru*

## მათემატიკოსმა აბრაამ დე მუავრიმ საკუთარი გარდაცვალების ზუსტი თარიღი გამოთვალა



ფაქტია, მათემატიკოსები მხოლოდ ურთულეს განტოლებებს არ ხსნიან და არანაკლებ რთულ ფორმულებს არ იგონებენ. მათ საკუთარი გარდაცვალების თარიღის გამოცნობაც შეძლებიათ.

ყოველ შემთხვევაში, დღემდე სევდიან აღფრთოვანებას იწვევს ფრანგი მათემატიკოსის, აბრაამ დე მუავრის გამოთვლა, რომელმაც სწორედ საკუთარი გარდაცვალების ზუსტი თარიღი დაადგინა.

დე მუავრი მე-18 საუკუნეში ცხოვრობდა და ნიუტონის ახლო მეგობარი იყო. ის ცნობილია თავისი სამუშაოებით ალბათობის თეორიის სფეროში, ასევე, მუავრის ფორმულის გამოყვანაში.

მუავრი 87 ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილამდე გარკვეული პერიოდით ადრე მან შეამჩნია, რომ უფრო და უფრო სუსტდებოდა და რომ ძილისთვის სულ უფრო მეტი დრო სჭირდებოდა. მათემატიკოსმა დაიანგარიშა, რომ დღე-ღამეში მისი ძილის დრო საშუალოდ 15 წუთით იზრდებოდა. ჰოდა, დაასკვნა, რომ მაშინ მოკვდებოდა, როცა ამ დამატებითი წუთების რაოდენობა 24 საათს გაუტოლდებოდა. შედეგად, მათემატიკოსმა სიკვდილის ზუსტი თარიღი დაასახელა: 1754 წლის 27 ნოემბერი და მართლაც, ის სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა.

*tainamira.ru*

## უცხოპლანეტელები მთვარეზე ცხოვრობენ?



სინამდვილეში, დაზუსტებით არავინ იცის მათი მისამართი კი არა, არსებობაც კი, თუმცა არსებობენ უფოლოგები, რომლებიც ამტკიცებენ — გინდათ თუ არა, მთვარე დასახლებული ციური სხეულია და მასზე უცხოპლანეტელები ცხოვრობენო.

მათი განმარტებით, მე-15 საუკუნიდან დაწყებული, უამრავი მეცნიერი აკვირდებოდა, როგორ ჩნდებოდა მნათობის ზედაპირზე უჩვეულო ნათებები, ლაქები და ასე შემდეგ.

ხშირად, უჩვეულო ნათება თავის თავში მხოლოდ ერთ სხივს წარმოადგენდა, ზოგჯერ კი ასობით სხივი ჩნდებოდა.

– საუკუნეებია, ამ დილემის გარკვევაზე უამრავი ადამიანი მუშაობდა და მუშაობს და არ იქნება გადამეტებული, თუკი ვივარაუდებთ, რომ მთვარე უცხოპლანეტელებით არის დასახლებული, თუმცა ისინი კარგად შენიღბვას ახერხებენ, – მიაჩნიათ უფოლოგებს.

*ufolog.ru*

## ჰიტლერს ევროპაში 6-ჯერ მეტი საკონცენტრაციო ბანაკი აუგია, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი

– 1933-დან 1945 წლებში მთელი ევროპის მასშტაბით 42 ათას 500 ნაცისტური გეტო და ბანაკი იყო გახსნილი, – ასეთი დასკვნა გამოიტანეს სულ ცოტა ხნის წინ ისტორიკოსებმა ჯეფრი მეგარჯიმ და მარტინ დინმა, რამაც ჰოლოკოსტის მკვლევარები შოკში ჩააგდო.

ცნობილია, რომ საკითხის შესწავლას ისტორიკოსებმა 13 წელი მოანდომეს და შედეგად მართლაც შემზარავი დასკვნა დადეს.

ბანაკებს შორის შედიოდა არა მხოლოდ „მასობრივი მკვლელობების ცენტრები“, არამედ ათასობით შრომით-გამოსასწორებელი ბანაკები, სამხედრო ტყვეთა ბანაკები, ბორდელები და ე.წ. „ზრუნვის ცენტრები“, სადაც ფეხმძიმე ქალები იძულებულები იყვნენ, აბორტები გაეკეთებინათ, ან სადაც ბავშვებს დაბადებისთანავე ხოცავდნენ.

საერთო ჯამში, მკვლევარებმა 30 ათასი ბანაკი დაითვალეს, სადაც მონური შრომა გამოიყენებოდა, 1150 ებრაელთა გეტო, 980 საკონცენტრაციო ბანაკი, სამხედრო ტყვეების 1000 ციხე, 500 საროსკიპო, რომლებიც გადავსებული იყო სექსმონებით, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელებთან სექსის გამო, „არიელებს“ სასიკვდილო განაჩენი ელოდათ. ათასობით სხვა ბანაკი გამოიყენებოდა მოხუცებისა და უპოვართა დასახოცად, აბორტების გასაკეთებლად, პატიმართა „გერმანიზაციისთვის“ ან გაზის კამერებიდან მიცვალებულთა გვამების ტრანსპორტირებისთვის.

*factroom.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# სკანვორდი

1. სოდომი და ...
2. ნაჭრის გასაშლელი ოთახი
3. რძის პროდუქტი
4. ალგებრული მრუდი
5. ფოლადის ბაგირი
6. ბაღჩეული
7. ირლანდიული ცეკვა ჩეჩოტკით
8. ინდიელის ტყავის ფეხსაცმელი
9. შოტლანდიელი მამაკაცის სამოსი
10. ვაშლის ღვინო
11. მწერალი ... ბრედბერი
12. გიუტას როლში აკაკი ...
13. კოსმეტიკური სურნელოვანი ზეთი
14. ავანტიურისტი ჯაკომო ...
15. ალპური ყვავილი
16. მომღერალი ... მინოუგი
17. მუს. გამის მეშვიდე საფეხური
18. მათემატიკური გამოსახ. მნიშვნელით
19. ეგვიპტის ფარაონთა დინასტია
20. ჯუჯა სახელმწ. ევროპაში
21. რაინდების შეჯიბრი
22. ელექტრონ. ტექნიკის ფირმა
23. სამაგიეროს გადახდა
24. სამეფო თავსამკაული
25. ხორბლის შეჭამანდი ქელეხში
26. ძვალი, რომლითაც ხერხემალია აწყობილი
27. ბოსტნეული
28. ბელორუსიის დედაქალაქი
29. ჭურჭელი ზოგადად
30. თოფის ხის ნაწილი
31. გამოუწვავი აგური
32. ქალი, დიაცი (ძვ.)
33. გზა მაიმუნიდან ადამიანამდე
34. სტივ მარტინი და ბიონსე ფილმში „ვარდისფერი ...“
35. ცეცხლზე გამხმარი პურის ნაჭერი
36. ნაწლავის პარაზიტი ჭია
37. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
38. ზოგ ენაში არსებით სახელს უძღვის წინ
39. ორი ათეული
40. სურდო
41. „ბითლზის“ რინგო ...
42. ჩრდილოამერიკული დათვი
43. ... ბაბაჯანიანი
44. პრეზიდენტის „კურთხევა“
45. თვალის ბუდე
46. მთელი გაყოფილი შუაზე
47. კონგოს დედაქალაქი
48. იაპონური მულტიპლიკაცია
49. რუსული ხალხური სიმებ. ინსტრუმენ.
50. ფირნიში
51. იაზონის გემი
52. მსახიობი ... ვენტურა
53. ძველი ეგვიპტის დედოფალი
54. ვინი პუჰის ავტორი
55. კვერცხის პროექცია სიბრტყეზე
56. კომპოზიტორი ... ნასიძე
57. მოკრივე როკი ...
58. ბრტყელი ლოკოკინა ერთგვარი
59. ძუნწი
60. ციტრუსი
61. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
62. ბულგარული არაყი
63. ჯადოქრობა
64. რბილი ტყავი
65. ქართლ-კახეთის მეფე მე-18 ს-ში
66. ვიტამინი „C“, ანუ ... მჟავა
67. რუსული ავტომობილი
68. კაპიტალით მიღებული შემოსავალი
69. გუფთა კომბოსტოში
70. მახრჩობელა გველი
71. „ლონდრე“ ლეილა ყიფიანი
72. ტირიფის ეპითეტი
73. მატარებლის პლატფორმა
74. რიგზი ფილმში „ტკბილი ...“
75. წითელყელსახვევიანი მოზარდი
76. მსახიობი ველ ...
77. მსახიობი ... რობერტსი
78. 3,14
79. სსრკ-ში: ლავრენტი ...
80. მსოფლიოს საოცრება: როდოსის ...
81. ქართ. ხალხური სიმღერა
82. გემი ორი კორპუსით
83. ნივთიერება ყავაში
84. რაიმე საქმეში პირველობა
85. უკრაინის ფულის ერთეული
86. საგანგაშო ძახილი საშველად
87. მსახიობი ... კატჩერი
88. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
89. ბერძენი ფილოსოფოსი
90. შებოლილი ხორცი
91. სტუმრის მომსახურე ქალი იაპონიაში
92. მაღაზიათა ქსელი თბილისში
93. ეპილეფსია, ანუ ...
94. ბოკაჩოს რომანი
95. ქალაქის თავი
96. შესვენება თეატრში
97. ასტრონომიული მანძილის საზომი ერთეული
98. შვედური ხურდა ფული
99. მხატვარი ... ონო
100. ჰაერის მისაწოდებელი სამჭედლოში
101. ევროპის ქალაქი, რომელიც კედლით იყო გაყოფილი
102. პერსონა ... გრატა
103. გადაშენებული ფრინველი
104. სასოფლო-სამეურნეო იარაღი
105. ლითონის წვრილი ფული
106. მსახიობი აიშვარია ...
107. მსახიობი ... მაკგრეგორი
108. ინდაურის საახალწლო კერძი
109. მდინარე ციმბირში
110. სამკუთხა თავსაფარი
111. გულსაბნევი
112. ბედი
113. „... და ქილა ერბო“
114. მსახიობი რობერტ დე ...
115. ხილის ნაჭუჭიანი გული
116. კომპოზიტორი ... პაულსი
117. მომღერალი ... ქერი
118. ამოთხრილი ადგილი მიწაზე
119. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
120. იმრე კალმანის ჟანრი
121. მომღერალი ... ოსბორნი
122. ტაფაზე მომწვარი რბილი ლავაში
123. მსახიობი ... სილვერსტოუნი
124. ზღვის ძუძუმწოვარი
125. მსახიობი კევინ ...
126. ვრცელი ველები აფრიკაში
127. სახეში გაწნული ხელი
128. ... არაგვისპირელი
129. მომღერალი ... ჯონსი
130. სახელმწიფო აზიაში
131. ხურდების ჩასაყრელი ჭრილიანი საგანი
132. მსახიობი ანუკ ...
133. ალკოჰოლური სასმელი
134. ლინდგრენ. „... გრძელი წინდა“
135. ძაღლის ჯიში
136. ... კუზანოვი
137. წყალში მოხარშული ცომის ნაჭრები
138. მამალი კვიცი
139. ცივი დესერტი
140. წყლის მყარი ფორმა
141. კუნძული ინდონეზიაში
142. სამშობლოს მოყვარული
143. არნოლდ შვარცენეგერი, იგივე „რკინის ...“
144. „... მკერდში ორი გული დევს“
145. პურეულით დათესილი ადგილი
146. პარლამენტარი ოლიმპ. ჩემპიონი
147. მონათა აჯანყების ხელმძღვანელი
148. ნიშნავს საწინააღმდეგოს
149. ცხენის კუდის ბალანი
150. ტომრის ფორმის საფულე
151. მიმიკის უქონლობა
152. ინდიელის ცოლი (ზოგადად)
153. იანის საპირისპირო
154. მდინარე გერმანიაში
155. მსახიობი ... ფარულავა



პასუხები: 1. გომორა; 2. კარავი; 3. მაწონი; 4. ელიფსი; 5. გვარლი; 6. საზამთრო; 7. „რივერდანსი“; 8. მოკასინი; 9. კილტი; 10. სიდრი; 11. რეი; 12. ხორავა; 13. ნელსაცხებელი; 14. კაზანოვა; 15. ედელვაისი; 16. კაილი; 17. სი; 18. წილადი; 19. რამზესი; 20. მონაკო; 21. ტურნირი; 22. „აკაი“; 23. რევანში; 24. გვირგვინი; 25. კოლიო; 26. მალა; 27. სტაფილო; 28. მინსკი; 29. ტარა; 30. კონდახი; 31. ალიზი; 32. მხევალი; 33. ევოლუცია; 34. პანტერა; 35. ორცხობილა; 36. ასკარიდი; 37. მათარა; 38. არტიკლი; 39. ოცი; 40. რინიტი; 41. სტარი; 42. გრიზლი; 43. არნო; 44. ინაუგურაცია; 45. ფოსო; 46. ნახევარი; 47. ბრაზავილი; 48. ანიმე; 49. ბალალაიკა; 50. აბრა; 51. „არგო“; 52. ლინო; 53. ნეფერტიტი; 54. მილნი; 55. ოვალი; 56. სულხან; 57. მარჩიანო; 58. ხამანწკა; 59. კრიჟანგი; 60. ლიმონი; 61. მემ; 62. რაკია; 63. მაგია; 64. ლაიკა; 65. ერეკლე; 66. ასკორბინის; 67. „ნივა“; 68. რენტა; 69. ტოლმა; 70. ბოა; 71. ცირა; 72. მტირალა; 73. ბაქანი; 74. ნოემბერი; 75. პიონერი; 76. კილმერი; 77. ერიკ; 78. პი; 79. ბერია; 80. კოლოსი; 81. „ოროველა“; 82. კატამარანი; 83. კოფეინი; 84. ინიციატივა; 85. გრივნა; 86. არიქა; 87. ეშტონ; 88. ტამიში; 89. არისტოტელე; 90. ლორი; 91. გეიშა; 92. „პოპული“; 93. ბნედა; 94. „დეკამერონი“; 95. მერი; 96. ანტრაქტი; 97. პარსეკი; 98. ერე; 99. იოკო; 100. საბერველი; 101. ბერლინი; 102. ნონ; 103. მოა; 104. თოხი; 105. ხურდა; 106. რაი; 107. ევან; 108. საცივი; 109. ლენა; 110. ხილაბანდი; 111. ბროში; 112. სვე; 113. გლახაკი; 114. ნირო; 115. კურკა; 116. რაიმონდ; 117. მერაია; 118. ორმო; 119. მარიონეტი; 120. ოპერეტა; 121. ოზი; 122. ბლინი; 123. ალისია; 124. სელაპი; 125. სპეისი; 126. სავანა; 127. ალიყური; 128. შიო; 129. ნორა; 130. სირია; 131. ყულაბა; 132. ემე; 133. ვისკი; 134. პეპი; 135. სეტერი; 136. ივა; 137. ატრია; 138. ურა; 139. ნაყინი; 140. ყინული; 141. იავა; 142. პატრიოტი; 143. არნი; 144. ამ; 145. ყანა; 146. ასანიძე; 147. სპარტაკი; 148. ანტი; 149. ძუა; 150. ქისა; 151. ამიმია; 152. სკვო; 153. ინი; 154. რაინი; 155. ია. იკითხება: სოფო ნიჟარაძე.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ვენესუელის დედაქალაქი
2. გამომწვარი თიხის ნაკეთობა
3. ოთარ იოსელიანის ფილმი
4. ქვის სახლის მშენებელი
5. ჩახავა და მანჯგალაძე სპექტაკლში
6. ფიზიკოსი ნილს ...
7. ციმბირის მიმდებარე ზღვა
8. ფეხბურთელი ფაბრიციო ...
9. მხ/ფ „... მეზღურნეები“
10. ლეილა აბაშიძე ფილმში
11. რომის პაპის თევსარქმელი
12. მსახიობი ჯონ ...
13. იაპონიის ძველი დედაქალაქი
14. ნაკრძალი ასკანია-...
15. ქალის სასიმღერო ხმა
16. მუზეუმი სანკტ-პეტერბ.
17. კონტინენტი
17ა. მითი ოქროს საწმისზე
18. მიწის თხილი
19. მსახიობი ანტონიო ...
20. თავაშვებული ლრეობა
21. ძვირფასი ქვა
22. ... ერქომაიშვილი
23. კრების ჩანაწერი
24. სამკურნალო ბალახი
25. ხორბლის დიდი საცავი
26. იტალიელი კინორეჟისორი ძმები
27. იურიდიული პირი
28. ჰოლანდიელი მხატვარი
29. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
30. მსახიობი ვივიენ ...
31. ძროხის ნაშიერი
32. „ბითლზი“ ... სტარი
33. რეჟისორი ... ლი
34. ძლიერი ნათურა
35. ჰუნების ბელადი
36. მსახიობი სტივ ...
37. რგოლებიანი პლანეტა
38. მამალი ცხენი
39. მხატვარი იოკო ...
40. მსახ. აიშვარია ...
41. იგავები „... და დამანა“
42. იაპონური თაიგული
43. ბრაზილიელი ფეხბურთელი
44. გადაშენებული ფრინველი
45. ანტიკური საბერძნეთი
46. თუთა (კუთხ.)
47. მადაგასკარის დედაქალაქი
48. მელ გიბსონის ფილმი „ქრისტეს ...“
49. სანაყი
50. მზის ღმერთი ეგვიპტეში
51. მსახიობი ... ეკბერგი
52. ძველ თბილისური მიმართვა
53. გამარჯვების ქალღმერთი
54. ღვინო პოეტურად
55. ძუნწი (სასაუბრ.)
56. მსახიობი ... კუეიდი
57. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
58. იოსებ ჯუღაშვილი
59. ყვავილის ტკბილი წვენი
60. ღომში ჩაზელილი სულგუნი
61. მსახიობი ... მერფი
62. ებრაელთა სულიერი მოძღვარი
63. ყვავილი
64. მომღერალი ... პიაფი
65. ჯუჯა ჟირაფი
66. თეატრის ყველა სპექტაკლი
67. მახრჩობელა გველი
68. ... ია
69. აბი
70. მთრიმლავი ნივთიერება
71. რიცხვი: ... და მრავლობითი
72. მსახ. ...-ჯესიკა პარკერი
73. მსახიობი ინოკენტი ...
74. „ჟიზელი“ კომპოზიტორი
75. რასპე. „ბარონ ... თავგადასავალი“
76. ზღაპარი „... გოჭი“
77. უძველესი კოლხეთი
78. მსახიობი ... რუსო
79. გემის დაპყრობა პირატების მიერ
80. შტატი აშშ-ში
81. ტენორი ბენიამინო ...
82. ... ხაჩატურიანი
83. ევერესტი, იგივე ...
84. უმაღლესი ხარისხის ბროლი
85. ტაფაზე მომწვარი ცომი
86. 100სმ
87. ქალაქი გერმანიაში
88. იუპიტერის თანამგზავრი
89. ქიმიური ჭურჭელი
90. ვულკანური მასა
91. სახელმწიფო აზიაში
92. პოეტი პეტრე ბაგრატიონ ...
93. ძაღლის ჯიში
94. მიკრობსაწინააღმდეგ. პრეპარატი
95. ღობე
96. მუზეუმი მადრიდში
97. მსახიობი ... ოლდმენი
98. რა ქვეითდება შიდსის დროს
99. პარკოსანი მცენარე
100. სახელმწიფო აფრიკაში
101. ქალაქი ნიდერლანდში
102. ღომის ამოსაზელი ჯოხი
103. თევზის წვნიანი
104. წყლის ტრანსპორტი
105. სამშენებლო იარაღი
106. კომპოზიტორი ბედერჟიკ ...
107. კუნძული ინდონეზიაში
108. მხ/ფ „შავყურა თეთრი ...“
109. სისხლძარღვი
110. მხ/ფ „... ქალაქში“
111. მხ/ფ „... შემოდგომისა“
112. ბურუსი
113. ხორცის კერძი
114. მოთი-ბული გამხმარი ბალახი
115. პოეტი აკაკი ...
116. ნაგებობა მდინარეზე
117. „გრაფი ... კრისტო“
118. ... ხეთაგუროვი
119. ამერიკელი მომღერალი ქალი
120. ხორბლის ყვავილედი
121. ჭრილობა
122. მსახიობი ... ფიორენტინო
123. „გლახის ნაამბობი“ პერსონაჟი
124. დროშა
125. გიორგი სააკაძის სოფელი
126. ... კიხოტ ლამან-ჩელი
127. მსახიობი ჯეიმზ ...
128. თევზის ჯიში
129. რეჟისორი ... დე ბონტი
130. „კაცი რომელიც იცინის“ პერსონაჟი
131. ტივი „...-ტიკი“
132. იაპონური თეატრი
133. ... სადაო წმინდა საბაო
134. მწერალი ... დე ბალზაკი
135. მოდელი ... ყიფშიძე
136. ფოლადის სადნობი ღუმელი
137. ლაშქარი
138. წელიწადი 366 დღით
139. იაპონური ხალათი
140. ქალაქი ტროა ანუ ...
141. უეცარი შიში

პასუხები: 1. კარაკასი; 2. კერამიკა; 3. „პასტორალი“; 4. კალატოზი; 5. „პეპო“; 6. ბორი; 7. ლაპტევები; 8. რავანელი; 9. ბებერი; 10. „აბეზარა“; 11. ტიარა; 12. ტრავოლტა; 13. ნარა; 14. ნოვა; 15. ალტი; 16. ერმიტაჟი; 17. აზია; 17ა. „არგონავტები“; 18. არაქისი; 19. ბანდერასი; 20. ორგია; 21. ალექსანდრიტი; 22. ანზორ; 23. ოქმი; 24. ქრისტესისხლა; 25. ელევატორი; 26. ტავიანები; 27. ნოტარიუსი; 28. რემბრანდტი; 29. მარიონეტი; 30. ლი; 31. ხბო; 32. რინგო; 33. ენგ; 34. პროჟექტორი; 35. ატილა; 36. მარტინი; 37. სატურნი; 38. ულაყი; 39. ონო; 40. რაი; 41. ქილილა; 42. იკებანა; 43. რომარიო; 44. მოა; 45. ელადა; 46. ბჟოლა; 47. ანტანანარივუ; 48. ვნებანი; 49. როდინი; 50. რა; 51. ანიტა; 52. ტო; 53. ნიკე; 54. ნუნუა; 55. კრიჟანგი; 57. ტანგენსი; 58. სტალინი; 59. ნექტარი; 60. ელარჯი; 61. ედი; 62. რაბინი; 63. იასამანი; 64. ედიტ; 65. ოკაპი; 66. რეპერტუარი; 67. ბოა; 68. აი; 69. ტაბლეტი; 70. ტანინი; 71. მხოლობითი; 72. სარა; 73. სმოკტუნოვსკი; 74. ადანი; 75. მიუნჰაუზენი; 76. სამი; 77. აია; 78. რენე; 79. აბორდაჟი; 80. ინდიანა; 81. ჯილი; 82. არამ; 83. ჯომოლუნგმა; 84. ბაკარა; 85. ბლინი; 86. მეტრი; 87. ბონი; 88. იო; 89. კოლბა; 90. ლავა; 91. კამბოჯა; 92. გრუზინსკი; 93. ლაბრადორი; 94. მესერი; 96. პრადო; 97. ჰარი; 98. იმუნიტეტი; 99. ბარდა; 100. სომალი; 101. როტერდამი; 102. სუთი; 103. უხა; 104. ბორანი; 105. თარაზო; 106. სმეტანა; 107. ბალი; 108. ბიმი; 109. ვენა; 110. ორნი; 111. მზე; 112. ნისლი; 113. რაგუ; 114. თივა; 115. წერეთელი; 116. ხიდი; 117. მონტე; 118. კოსტა; 119. ენია; 120. თავთავი; 121. იარა; 122. ლინდა; 123. გაბრიელი; 124. ალამი; 125. ნოსტე; 126. დონ; 127. კევიზელი; 128. თართი; 129. იან; 130. დეა; 131. კონ; 132. ნო; 133. საიდან; 134. ონორე; 135. კრისტი; 136. მარტენი; 137. სპა; 138. ნაკიანი; 139. კიმონო; 140. ილიონი; 141. ელდა. იკითხება: კომბოსტო.

## მერილინ მონრომ პირველი ორგაზმი გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე განიცადა?



„ენას ძვალი არ აქვსო“ და აბსოლუტურად მართალია ეს გამოთქმა, ჩვენ კი იმასაც დავუმატებთ, რომ არც ტვინს აქვს ძვალი.

ჰოდა, რასაც ტვინი მოიფიქრებს, ხოლო ენა იტყვის, რთულია, წინასწარ გამოიცნო.

სწორედ ამაში ვრწმუნდებით ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც: გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მე-20 საუკუნის სექსსიმბოლო მერილინ მონრო ორგაზმს ვერც ერთ საყვარელთან ვერ განიცდიდა.

თურმე, გარდაცვალებამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე გადაუხადა მადლობა მონრომ თავის ფსიქიატრს, სექსუალურ ცხოვრებაში არსებული პრობლემების მოგვარებისთვის...

*facte.ru*

## რის გამო შეიძლება დააპატიმრონ ამერიკაში სკოლის მოსწავლეები?



– ტეხასის ერთ-ერთ სახელმწიფო სკოლაში 12 წლის სარა ბასტამანტესი ცოტა ხნის წინ იმის გამო დააკავეს, რომ მას სუნამოების გამოყენება უყვარდა.

– ნიუ-მექსიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკეს სკოლის 13 წლის მოსწავლეს ხელბორკილები კლასში... დაბოყინების გამო დაადეს.

– კალიფორნიის ერთ-ერთ სკოლაში დარაჯმა 16 წლის გოგონას ხელი იმის გამო მოსტეხა, რომ მოზარდმა „გაბედა“ და ტანსაცმლიდან ნამცხვრის ნამცეცები ჩამოიფერთხა.

– ჰიუსტონში ორმა მოსწავლემ ჩხუბის დროს ერთმანეთს რძე შეასხა. იმის ნაცვლად, რომ პედაგოგებს მტყუან-მართალი გაერკვიათ, ბავშვები დააკავეს და მომხდართან დაკავშირებით სასამართლო მოსმენა დაინიშნა.

– 2010 წლის დასაწყისში 12 წლის გოგონა ნიუ-იორკის ფორესტ ჰილსის სკოლაში პოლიციამ იმის გამო აიყვანა, შემდეგ კი სკოლიდან გაირიცხა კიდეც, რომ მაგიდაზე დაწერა: „მე მიყვარს ჩემი მეგობრები ები და ფეიტი“...

– 6 წლის გოგონა ფლორიდაში დააპატიმრეს და ფსიქიატრიულში გაამწესეს ისტერიკის გამო, რომელიც მან დაწყებით სკოლაში მოაწყო.

– ტეხასის სკოლის მოსწავლის დაკავების მიზეზი კლასში ქაღალდის თვითმფრინავების გაშვება გახდა.

– 17 წლის ფრიადოსანმა მოსწავლემ ჩრდილოეთ კაროლინიდან ეშლი სმიტუიკმა შემთხვევით სკოლაში მამის სადილი წაიღო. დედის მიერ ქმრისთვის გამზადებულ პარკში ხილის გასათლელად პატარა დანაც იყო ჩადებული. და რა მოუვიდა ამ წარჩინებულ მოსწავლეს, როცა სკოლაში ამის შესახებ შეიტყვეს? ის სკოლიდან სასწავლო წლის დასრულებამდე გააძევეს, პოლიციამ კი სამართალდარღვევისთვის ბრალიც წაუყენა.



– პენსილვანიის შტატის ქალაქ ალენთაუნში 14 წლის გოგონამ სკოლის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლისგან უბეში ელექტროშოკი მიიღო იმ დროს, როცა დანებების ნიშნად ხელები ჰქონდა აწეული.

– ფლორიდაში 11 წლის მოსწავლე დააკავეს და ციხეში ჩასვეს მესამე ხარისხის დანაშაულისთვის იმის გამო, რომ სკოლაში პურზე კარაქის წასასმელად პლასტმასის დანა მიიტანა.

– 6 წლის ბიჭუნას სან-ფრანცისკოში სულ ცოტა ხნის წინათ სექსუალურ ძალადობაში დასდეს ბრალი თამაშის დროს თანატოლებთან „უადგილო შეხებების გამო“.

*livejournal.ru*

## მამაკაცი გულის ასარევად შეცდომით უცხო სახლში შევარდა



დათვრა კაცი, შეაწუხა გულისრევამ და ამის გულისთვის უნდა დაეპატიმრებინათ, ეს ოხერი?!

ამ კითხვაზე ამერიკელი სამართალდამცველები გვიპასუხებდნენ:

– სხვის სახლში არ ერწყია, თანაც ორჯერ და აღარ დავიჭერდითო...

საერთო სურათს ხომ მიხვდით – ინდიანას შტატის ქალაქ კოკომოს მკვიდრი, 34 წლის ლესტერ ბეგველი ისეთ დონეზე ყოფილა გამომთვრალი, რომ შეცდომით მეზობლის სახლში შევარდა და მისაღებ ოთახში გული ორჯერ აერია.

ოჯახის უფროსი დაუპატიჟებელ სტუმარს ვერ მიეკარა – როგორია, სარწყევად გადაყუდებულ ადამიანს ეძგერო და ჩხუბი დაუწყო? არადა, საწყალი ლესტერი იხვეწებოდა, „შუბლი დამიჭირეთ, თქვენი შუბა გავხიეო“...

მოკლედ, როგორც ხდება ხოლმე, „დაზარალებულებმა“ მაშინვე პოლიციას დაურეკეს და მათაც გამომთვრალი მამაკაცი განყოფილებაში მიაბრძანეს.

სავარაუდოდ, ლესტერ ბეგველი მხოლოდ ფულად ჯარიმას გადაიხდის, შემდეგ კი იმ ოხერ მეზობლებზე შურს იძიებს, ოღონდაც, დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ კვლავ პოლიციელთა კლანჭებში არ მოექცეს.

*theindychannel.com*

## ლონდონის კინოთეატრი მაყურებლების მიზიდვას კომფორტული... საწოლებით ცდილობს



კინოში მისული შეყვარებული წყვილები რომ უკანა რიგებს ირჩევენ ხოლმე, კარგად ცნობილი ფაქტია – მათ ერთმანეთთან ალერსი უფრო ხიბლავთ, ვიდრე ფილმის ყურება. ჰოდა, სწორედ ეს გაითვალისწინა ლონდონის ერთ-ერთმა კინოთეატრმა „ნოთინგ ჰილ ელექტიკ სინემამ“ და გადაწყვიტა, შეყვარებულებს ბევრად უკეთესი კომფორტი შესთავაზოს.

როგორც ირკვევა, აღნიშნული კინოთეატრის მთავარი დარბაზის წინა რიგებში, სკამების ნაცვლად, ექვსი კომფორტული საწოლია დადგმული.

– ადრე დარბაზის უკანა რიგებიდან მუდმივად კოცნის ხმები ისმოდა, ახლა კი ჩვენთან ეს პირიქით მოხდება – კოცნის ხმები პირველი რიგებიდან გაისმება, – ამბობს კინოთეატრის ერთ-ერთი მეპატრონე ნიკ ჯონსი.

საინტერესოა, რომ, თუკი ჩვეულებრივი, ანუ სავარძლიანი ადგილის ბილეთი 32 დოლარამდე ღირს, საწოლზე ადგილის მოსაპოვებლად 29 დოლარის გადახდაა საჭირო.

*drunov.ru*

## ტრავმების მიღების შემთხვევათა შემცირების იმედით, მოსკოვის საციგურაო მოედნების კურთხევა დაიწყეს



მოსკოვში უკვე არსებობს 3 „მართლმადიდებლური საციგურაო მოედანი“, რიგში არის რუსეთის კიდევ არაერთი ქალაქი...

როგორც იდეის ავტორები განმარტავენ, მათი სურვილია, ყინულზე სრიალის მოყვარულებს მაქსიმალურად კომფორტული პირობები ყველა მიმართულებით შეუქმნან, მათ შორის, ტრავმების აცილებაში სასულიერო პირების მიერ მოედნების კურთხევითაც დაეხმარონ.

– ყინულის კურთხევას სასულიერო პირები იმ მიზნით ახდენენ, რომ ტრავმების მიღების შემთხვევები მაქსიმალურად შემცირდეს, – განმარტავს მოსკოვის საპატრიარქოს ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების წარმომადგენელი.

მისი განმარტებით, სიახლემ იმდენად დადებითი შედეგი გამოიღო, რომ საახალწლო ღონისძიებებზე გასულ დღეებში ყინულზე სრიალის არც ერთი მოყვარული არ დაშავებულა.

*rian.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



მოხუცი ცოლ–ქმარი საწოლში.

ცოლი:

– ეეჰ, იყო დრო, როცა ძილის წინ ხელზე ნაზად მეფერებოდი ხოლმე...

ქმარმა ხელზე მოფერება დაუწყო.

ცოლი:

– და ძილის წინ შუბლზეც მკოცნიდი ხოლმე...

ქმარმა შუბლზეც აკოცა.

ცოლი:

– კისერშიც რომ მკბენდი ხოლმე, ის თუ გახსოვს?

ქმარმა ამოიოხრა, საწოლიდან წამოდგა და ოთახიდან გასვლა დააპირა.

ცოლი:

– სად მიდიხარ?

– კბილებს შემოვიტან...

*****

– ჰო, შვილო, როგორც ჩანს, მე და დედაშენმა ძალიან გაგატუტუცეთ. მოგვიწევს, გემოზე დაგსაჯოთ!

– მოიცა, მამი, თქვენ გამატუტუცეთ და მე მსჯით?!

*****

– როდის მოიმატებს საქართველოში განათლების დონე?

– მაშინ, როცა ლექციებზე ჯიპებით პროფესორები მივლენ, სტუდენტები კი „მარშრუტკებით“ და არა პირიქით!

*****



მამაკაცი რესტორანში ზის. უცბად ვიღაც ყვირილით შევარდა:

– კოტე, გარეთ შენს ცოლს აუპატიურებენ!

წამოხტა, გავარდა რესტორნიდან და ამ დროს მანქანა დაეჯახა...

გონს საავადმყოფოში მოეგო, ფიქრობს: „ძალიან ნერვიული გავხდი – მე ხომ კოტე არ მქვია და მით უმეტეს, ცოლი საერთოდ არ მყავს!“

*****

ორი გოგონა გადავსებულ ლიფტში მოხვდა.

ერთ-ერთი (ჩურჩულით):

– ჩემს უკან ვინ დგას?

– ახალგაზრდა ბიჭია.

– ახალგაზრდა რომ არის, ვგრძნობ... ის მითხარი, სიმპათიურია?

*****

ქერა გოგონა მეგობარს ეწუწუნება:

– ჩემმა შეყვარებულმა მითხრა, ძალიან უინტერესო ხარ, სილიკონის გაუმჯობესება არ გაწყენდაო. არადა, მკერდი ორი თვის წინ გავიდიდე!

– სილიკონის არა, ლექსიკონის, ლექსიკონის!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

კომპანია „ი-ბი-ემ ჯენერალის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ნინო არველაძეს დედის

**ნანა კაჭკაჭიშვილის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ბრიტანული კომპანია კლიენტებს რეალურ გაფიცვებში მონაწილეობას სთავაზობს



არსებობს თურმე ბრიტანული კომპანია, რომელიც ნებისმიერ მსურველს საშუალებას აძლევს, არეულობებსა და გაფიცვებში უნიკალური გამოცდილება მიიღოს. ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ კლიენტი 16 წელს უნდა იყოს გადაცილებული.

უკმაყოფილო შეძახილები, სქელი კვამლი, აგიზგიზებული ცეცხლი, დაუნდობელი პოლიციელები, სისხლის გამყინავი შიში და ადრენალინის წარმოუდგენელი დოზები, სულ რაღაც, 127 აშშ დოლარამდე ჯდება.

სახელდახელოდ მოწყობილ გაფიცვაში კლიენტს შეუძლია, აირჩიოს, იყოს საპროტესტო აქციის მონაწილე თუ კანონდამცველი. შეტაკების წინ თითოეული მათგანი შესაბამის მომზადებას გადის, როგორ უნდა დაესხას თავს პოლიციას ან პირიქით, როგორ დაიცვას თავი არეულობის მონაწილის შეტევისგან.

მართალია, მთავრობა ამ უჩვეულო მომსახურების მქონე კომპანიას მუდმივად აკრიტიკებს, ის მუშაობას მაინც არ წყვეტს და უამრავ შეკვეთასაც იღებს.

***drunov.ru***

## კაქტუსი კომპიუტერის გამოსხივებისგან სულაც არ გვიცავს



არსებობს ერთი ძალიან პოპულარული მოსაზრება, თითქოს კაქტუსს შეუძლია, ადამიანი კომპიუტერის მავნე გამოსხივებისგან გადაარჩინოს. სიმართლე გითხრათ, თავადაც ასე ვფიქრობდით, თუმცა სულ ტყუილად.

სპეციალისტების თქმით, ნებისმიერი, ვისაც ფიზიკის წიგნი გადაუშლია, სიტუაციის აბსურდულობაში დარწმუნდება: შეუძლებელია ოთახში სიბნელის შექმნა ნივთით, რომელიც სინათლეს „შეიწოვს“. ანუ, შეუძლებელია ისიც, რომ რომელიმე ნივთი გამოსხივებას ამბრაზურასავით გადაეფაროს და ადამიანის დაცვა საკუთარ თავზე აიღოს.

აღმოჩნდა, რომ მითი „პერესტროიკის“ პერიოდიდან მოდის და მისი ავტორები სტუდენტი ფიზიკოსები არიან. თურმე, მათ ფსევდოსტატია შეთხზეს, რომელშიც კაქტუსის დაცვით თვისებებზე იყო საუბარი.

მასალის გამოქვეყნებაზე ყველა გამოცემამ უარი თქვა და ის მხოლოდ ჟურნალ „რაბოტნიცაში“ დაიბეჭდა.

მოგვიანებით მითის გაქარწყლება ველარაფერმა შეძლო და დღემდე ბევრს სჯერა, თუკი კომპიუტერთან კაქტუსს დაიდგამს, გამოსხივება იმდენად ველარ დააზარალებს.

***mainfun.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**27 ნოემბერი:** დღეს ინტუიცია ძალიან გამოგადგებათ. თუ საკუთარი გიღალატებთ, შეეცადეთ, რომელიმე ახლობლის ინტუიციას მიენდოთ.

**კურო 22.04-21.05**

**27 ნოემბერი:** რატომღაც, მოგეჩვენებათ, რომ თქვენ გარდა არავინ არაფერს არ აკეთებს. ეს ან მართლაც ასეა, ან თქვენ მუშაობთ ძალიან ბევრს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**27 ნოემბერი:** დღეს იდუმალებით შეიმოსებით და ბევრს დააინტერესებთ. მათ თავიდან ვერ მოიცილებთ, ამიტომ შეეცადეთ, რენომე შეინარჩუნოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**27 ნოემბერი:** თითქმის მიაღწიეთ სასურველს, ბოლო ძალისხმევა დაგჭირდებათ. სწორედ ეს უნდა გააკეთოთ დღეს.

**ლომი 23.07-22.08**

**27 ნოემბერი:** თუ დღეს ზომაზე მეტად იეგოისტებთ, ურიგო არ იქნება. საკუთარი პრობლემების გარდა, ყველაფერზე თვალი დახუჭეთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**27 ნოემბერი:** ის დღეა, როცა წარუმატებლობების შემდეგ, სიტუაცია შეიძლება უკეთესობისკენ შეიცვალოს. მთავარია, გააქტიურდეთ და საქმეებს მიხედოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**27 ნოემბერი:** შეეცადეთ, ვინც არ უნდა იყოს, პრეტენზიები არ წაუყენოთ. მარტივად დაგიმტკიცებენ პრეტენზიების უსაფუძვლობას და ბოდიშის მოხდა მოგიწევთ.

**მორიელი 23.10-21.11**

27 ნოემბერი: შეიძლება, დღეს საბოლოო შედეგს ვერ მიაღწიოთ, მაგრამ შუალედურ შედეგს მიიღებთ, რომელიც შეიძლება უფრო ფასეული აღმოჩნდეს, ვიდრე საბოლოო შედეგი.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**27 ნოემბერი:** ზოგჯერ ძალიან მცირე ძალისხმევითაც შეიძლება ბევრის მიღწევა. დღეს სწორედ ასეთი დღეა. ოღონდ ასეთ ვითარებას არ მიეჩვიოთ, ეს დროებითია.

**თხის რქა 22.12-19.01**

**27 ნოემბერი:** გარშემომყოფთა უსიამოვნო გამომეტყველებებს ყურადღება არ მიაქციოთ, შეიძლება თქვენი შურთ. თუ გაუბრაზდებით, თქვენზე დაბოღმვის საბაბს მისცემთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**27 ნოემბერი:** ძალიან ყურადღებით იყავით, შეიძლება დღეს ვინმესთან საუბრიდან აზრისა და დასკვნის გამოტანა გაგიჭირდეთ.

**თევზები 19.02-20.03**

**27 ნოემბერი:** ყველაფერი, რასაც დღეს გააკეთებთ, გააზრებული უნდა გქონდეთ და რისკებს არ შეიცავდეს. ფინანსებთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება პრაგმატული უნდა იყოს.

## „მოლოტოვის კოქტეილი“ მოლოტოვმა გამოიგონა?



ალბათ, ყველამ შესანიშნავად იცის, რას ნიშნავს „მოლოტოვის კოქტეილი“, ხოლო ამბოხებულებისთვის და ტერორისტებისთვის ის „უახლოესი მეგობარიცაა“.

რასაკვირველია, ამ საკმაოდ საშიშ იარაღს არ და ვერ შექმნიდა ადამიანი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებაში წამყვან და უმაღლეს თანამდებობებს იკავებდა.

სინამდვილეში, აალებადი სითხით სავსე და ცეცხლწაკიდებული ბოთლი პირველად ფინებმა 1939 წელს გამოიყენეს. იარაღს სახელად მათ „კოქტეილი მოლოტოვისთვის“ შეურჩიეს, რადგან სჯეროდათ, რომ რუსეთ-ფინეთის ომი სწორედ ვიაჩესლავ მოლოტოვის გამო გაჩაღდა. შემდგომში ინგლისელებმა, რომლებსაც ე.წ. „ღარიბების იარაღი“ ძალიან მოეწონათ, ვერ გაიგეს, რა ვისთვის იყო განკუთვნილი და სახელად მას მხოლოდ „მოლოტოვის კოქტეილი“ დაუტოვეს.

***mainfun.ru***

## თუ ადამიანი კბილებს აკრაჭუნებს, ჭიები ჰყავს?



სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ბრუქსიზმი აწუხებს – სინდრომი, რომელიც თავის ტვინის ნაკლებად შესწავლილი მონაკვეთების მუშაობას უკავშირდება.

თუკი თქვენს წინაშე ბავშვია, მით უმეტეს არ უნდა შეშინდეთ, რადგან პატარები ძილში კბილებს ყოველთვის აკრაჭუნებენ, რათა სწორი თანკბილვა ჩამოუყალიბდეთ.

მოკლედ, თუკი გაიგებთ, რომ ადამიანი კბილებს აკრაჭუნებს, ნუ დაეტაკებით შეშინებული და ნუ დაიწყებთ მის გაღვიძებას. მით უმეტეს, რომ ბრუქსიზმი ხშირად თავისით იკარგება.

***dr20.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კაპიტანმა აღმოაჩინა, რომ თვითმფრინავს შასი დაკარგვია და მიხვდა, რომ ხომალდს დაჯდომა ძალიან გაუჭირდებოდა. დაუძახა სტიუარდესას და ჭკუას არიგებს:

– მგზავრებს სპირტიანი სასმელის საიდუმლო მარაგი ჩამოურიგე, რომ როგორმე შიში დასძლიონ!

– საიდუმლო მარაგი უკვე უპოვიათ და სალონში რაღაც ბორბალს დააგორებენ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ≫211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.20